წელიწადი მეხუთე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

# თეთრი გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

«რუსი — ქურდი, … — მკვლელი, ლოთი და ხამია.»
მერეჟკოვსკი.

პარიზი.
მარტი 1930 წელი
№ 26

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris - XVII

Paris
Mars 1930
№ 26

ფასი
2
ფრანკი

## 25 თებერვალი. *)

ტფილისი დაემხო! საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს! მენშევიკები საზღვარ გარეთ გაიქცნენ! აი ჯერ-ჯერობით ეს არის «ისტორია» საქართველოს უკანასკნელი ტრაღედიისა. ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შუა უთანხმოება მარქსიზმის გაგებაში. ბოლშევიკებს არ მოეწონათ. ვერ იგუეს მენშევიკების მიერ სოციალიზმის ცუდი სამსახური საქართველოში და «ნამდვილი სოციალიზმის» დასამყარებლად წამოვიდნენ საქართველოსაკენ; იყო ომი, ბრძოლა, ზარბაზნების გრიალი, ხალხი დაიხოცა. ბოლშევიკები ტფილისში შემოვიდნენ—მენშევიკებმა კი პარიზს მიაშურეს, რათა საქართველო, მშვენიერი ნიმუში სოციალისტურ ქვეყნისა, შეებრალებინათ მეორე ინტერნაციონალისათვის და მით სოციალიზმი საქართველოში ეხსნათ განსაცდელისაგან, ესლა უკვე საქართველოს საზღვრების გადაღმა.

ასეთია «ისტორია», ასეთია აღწერა ერის ტრაღედიისა. ასეთს უბრალო და მარტივი ლაპარაკით ხასიათდება საშინელი უბედურება ერისა, ასე ზერელეთ ათვალიერებენ და აფასებენ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას! რომელსაც ჰქვიან ერთი სახელმწიფოსაგან და ერისაგან, მეორე სახელმწიფოს მოსპობა და ერის დამონება.

საქართველო განადგურდა! ველური დამპყრობი ჟლეტს ერსა და ბერსა, ქალსა და კაცსა, მოხუცსა და ყრმასა... უგანაჩენოთ, უდანაშაულოთ... არიგებს საქართველოს მიწა—წყალს... ასახლებს ქართველთ მიწა-წყალზედ უცხოელს და თვით მკვიდრს კი აგზავნის შორეულ ცივს რუსეთში. ვისაც შეუძლია თავი დააღწიოს განსაცდელს გამორბის და სხვა და სხვა უცხო ქვეყნებში კვდება საშინელი გაჭირვებისაგან და აუტანელ შრომისაგან დაავადმყოფებული, დაჩლექიანებული და ეს საშინელება ერს დაატყდა თავზედ თავის დამოუკიდებლობის დაკარგვით და ეს დიდი უბედურება მოწყვდეულია სულ უბრალო ლაპარაკში.

მენშევიკები დაამარცხეს ბოლშევიკებმა, თითქოს ეს ორი ახალი ეროვნება გაჩნდა და არა რუსი და ქართველი დაპირდაპირებული თავის ეროვნულ პოლიტიკურ ინტერესებით.

ათი წელიწადი შესრულდება და არავინ იცის ნამდვილად რა მოხდა? რად წავაგეთ ომი! რად დავტოვეთ დედა-ქალაქი? რა იყო მთავარი მიზეზები? არავისგან არა გაგვიგონია რა! იქნებ დასამალია? მაგრამ ვის უნდა დაუმალოთ? ჩვენსავე თავს. სამწუხაროთ უცხოელებმა ჩვენზე უკეთ იციან ყველაფერი. ნუ თუ არ უნდა იცოდეს ქართველმა რა მიზეზების გამო დაეღუპა სამშობლო. ამის შესახებ აგერ ათი წელიწადი შესრულდა და არავისაგან არაფერი გაგვიგონია. არავისაგან გარდა «ბრძოლის ხმისა», რომელიც ბრალს «პონიკიორ ღენერლებსა» სდებს. იქნებ მართალია? თუ არა და რათ არ იღებს ხმას ვინმე და უმთავრესად ის, ვინც ღენერალიც არის და ვისაც ეს ეხება, ვინც არის ნამდვილად პასუხისმგებელი: საქართველოს ღენერალური შტაბის უფროსი. ყველამ უწყის, რომ ღენერალური შტაბი, თუ ასეთი სინამდვილეში დასტურ არსებობდა, არის გადამწყვეტი ძალა სამხედრო თავდარიგისა მშვიდობიანობის და მოქმედების ომიანობის დროსა. მერე რად სდუმს ეს «ღენერალური შტაბი» და რათ არ იტყვის რამეს ერის უბედურობაზედ, მის დამარცხებაზედ როგორც დღევანდელ, აგრეთვე მომავალ თაობის ყურადსაღებად. თუ არის ისეთი სახელმწიფო სადაც ტომები არარსებობდეს «ყვითელი, თეთრი, ლურჯი» და სხვა წიგნებისა ომების შესახებ.

არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, სადაც გარკვეული, შესწავლილი და ყოველის მხრივ გაშუქებული არ იყოს გადახდილი ომები, დამარცხებებიც და გამარჯვებებიც, ყველა უბრალო ბრძოლებიც ომის დროს წარმოებული. ეს საჭიროა ისტორიისათვის, ეს საჭიროა შეცდომების შემდეგში თავიდან ასაცილებლად, საჭიროა სასარგებლო დასკვნების გამოსაყვანათ და ამასთანავე საჭიროა მოქალაქის აღსაზრდელად, რათა ერთ ერთმა იგრძნოს თავი მოვალეობის ნამუსიანად აღმასრულებლად და მეორეს სირცხვილის გრძნობა გაუღვიძოს და სხვა.

მთელი მასალები, ყველა საბუთები გამოსადეგი ამ საკითხის შესასწავლად და რაიმე სერიოზული შრომის დასაწერად აქვს ღენ. ზაქარიძეს, რომელიც სდუმს და არ ამჟღავნებს, რა თქმა უნდა მისთვის არა გვგონია ხელსაყრელი იყოს, მაგრამ იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა უნდა ჰქონდეს, რომ დიდი მიზნისათვის ცხად ჰყოს როგორც სხვისი, ასევე მისი საკუთარი დანაშაულიც. დიდი დროა ათი წელიწადი, დიდი ვადაა იმისათვის, რომ ქართველმა ერმა იცოდეს დაწვრილებით მომხდარი კატასტროფის ჭეშმარიტი მიზეზები.

25 თებერვალი გლოვის დღეა, შავბნელი დღე! მსგავსი სირცხვილი ქართველს არ მოსწრებია თავის ისტორიის ხანგრძლივ მანძილზედ. რა თქმა უნდა უთვალავ ბრძოლებში ისიც მომხდარა, რომ ქართველი დამარცხებულა, მაგრამ ეს დამარცხება ძლიერ ძვირად უჯდებოდა და მტერს 25 თებერვლის დამარცხებისთანა კი არასოდეს არ განუცდია. ჩვენ გვრწამს რომ ქართველი ერი გადიტანს ამ სირცხვილს და წარსდგება კაცობრიობის წინაშე თავისი აღდგენილი სახელით, 25 თებერვალს კი შთანთქავს ისტორიის სვლა ამ დღის ავტორებთან ერთად. განახლების ხანა დაიწყო და უსაეჭვოდ იგი მივა თავის აუცილებელ დასკვნამდე და 25 თებერვალს შესცვლის დღე საქართველოსა და ქართველის სახელის აღდგენის დღე.

მეგობარი.

*) ვინაიდან სხვა და სხვა მიზეზების გამო 25 თებერვლის საგანგებო ნომერი ვერ გამოუშვით, მის მოწინავეს აქ ვბეჭდავთ.

## ფშაურ ხმაზე.

წმიდა გივარგი მამხედე,
რომ ჩავაწიო ბარადა,
მუხთალი მტერთან საომრად,
მარჯვენის მოსახმარადა.

ჩემს მიწა-წყალის მტრობაზედ
სისხლი ვადინო ღვარადა
უცხო კილოზედ გალობა
უქციო გლოვის ზარადა.

მშობელი დედა უტირო
ცხარე ცრემლით და მწარადა
მთიულის დავით—ფერულის
გემო ახსოვდეს მარადა.

მოჰ! ფშავ—ხევსურნო მომყევით,
ბარში ჩავიდეთ ჩქარადა
ბრძოლაში გავწყდეთ ერთობლივ
მამულის გასახარადა.

მ. დ—ანი.

## გადაგვარების გზაზე.

«რუსის ხალხი სრულიად ურწმუნოა, ის მხოლოდ ცრუმორწმუნეა. შინაარსი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც ის ვითომდა ატარებს, მისთვის გაუგებარი და უცხოა. ქრისტეს პიროვნება და მაღალი აზრი მისი მცნებისა მისთვის გაუგებარია. მას უფრო სწამს „პარასკევი“ და „ავი თვალი“, „მოშჩები“, კანდელი, ასე ვსთქვათ კერპ თაყვანი სმცემელი მხარე რელიგიისა, ვიდრე მისი შინაარსი. რუსის სარწმუნოებრივი გრძნობა გამოიხატება სექტების სიმხეცეში.»

არციბაშევი. (ცნობილი რუსის მწერალი)

წინა წერილში აღნიშნული იყო ყველა ის დამანგრეველი საშუალებანი მიმართული ქართული კულტურის საწინააღმდეგოთ, რომელიც ტურტლიან რუსებმა ჩვენ დაგვმართეს.

ქართული კულტურის მთავარი საფუძვლების შემცველი და აგრეთვე ცივილიზაციის ფაქტორები არიან: სარწმუნოება, ოჯახი, ეროვნული შეგნება, საკუთარი ისტორიის ცოდნა და ენა. გასულ წერილში მხოლოდ გაკვრით შევეხეთ ამ საკითხებს, აქ კი ფაქტიურად იქნება დასაბუთებული თუ როგორ რუსეთის გამხრწნელმა გავლენამ გარყვნა ჩვენი ყოველი ამ საფუძველთაგანი.

ერის კულტურა სარწმუნოებაზე შენდება. იმდენად კეთილ შობილია ესა თუ ის ხალხი, რამდენად მათ რელიგიის განმასახიერებელი ღვთის მსახურება შეუძლია. ძველი ისტორიკოსების ცნობით, ქართველებზე უფრო მორწმუნენი, დაწყებული მეოთხე საუკუნიდან, არც ერთი ერი არ ყოფილა. ქართველმა ერმა თხუთმეტი საუკუნე ატარა უალრესი ღვთის რწმენა და შემოვარდნილმა რუსების კაციჭამიობამ კი გაანადგურა საქართველოში ეკლესიაც და სარწმუნოებაც. რომ უფრო ნათელი გავხადოთ ის აზრი, რომ რუსებმა ქართული ეკლესია გაძარცვეს და თვით მათი ბარბაროსობა მოწამეა იმისა, თუ რა ველური საშუალებით სპობდნენ ყოველგვარ ქართულ სარწმუნოებრივ გამომჟღავნებას, აქ მომყავს პეტრე თამარაშვილის მასალებიდან ამოღებული დოკუმენტები.

როდესაც რუსებმა საქართველოს მოუხდინეს ანექსია და ქართულ ეკლესიასაც წაართვეს დამოუკიდებლობა, რუსის სინოდმა გამოგზავნა ეგზარხოსები საქართველოში. ეს ეგზარხოსები იმიტომ კი არ მოდიოდნენ რომ ეკლესიის გაუმჯობესება ეკისრათ და რაიმე კეთილი საქმე შეემატებინათ, არა. მათი მიზანი იყო ძველი ქართული ეკლესიების გაძარცვა და ნადავლით რუსეთში დაბრუნება. ეუზებმა თავისი მისიის გასამრჯელო 200 000 მანეთი ეკლესიების ნაქურდალი მიიღო. პავლე ესევე მოიქცა,“ დასწყევლა ქართველი ერი და გაიქცა.

რუსის სინოდმა ქართულ ეკლესიას აუწერელი ტანჯვა-წამება მიაყენა. მისთვის ეს ეკლესია იყო ველურების. სინოდის მმართველებმა მტკვარში გადაყარეს ჩვენი ეკლესიის კონსტიტუციები; დასწვეს ყველაზე ძველი საეკლესიო საბუთები და რაც გადარჩა პეტერბურგში წაიღეს. მასთან ერთად ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) მოსპეს. ეს რუსები იყვნენ რომელთაც მოსპეს 25 ეპარქია, ზოგიერთი მეხუთე საუკუნეს ასწვდა. გაქურდეს მრავალი მდიდარი მონასტრები და აურაცხელი ძვირფასეულობა ხელთ იგდეს.

გათახსირებული ეგზარხოსი თეოფილაქტე აშკარად სდევნიდა ქართველებს, მისი გაბედულება იქამდისაც კი მივიდა, რომ წმიდა ნინოს საფლავი უნდოდა ამოეგდო, მაგრამ ღმერთმა არ დააცადა და იქვე სული ამოართვა. ჯერ ცარისტულ ხანაში რუსები სცდილობდნენ ჩვენი წინაპრების საფლავნი ამოეთხარათ, მაგრამ ღმერთი ჩვენ გვფარველობდა. დღეს ტურტლიან რუსებმა წმიდა ნინოს საფლავი გადათხარეს, ყველა ეკლესიები გაძარცულ იქმნა და ზარები ჩამოხსნილი.

ეგზარხოსმა ევგენ ბოგდანოვმა გაქურდა ეკლესიები და მონასტრები. ისიდორემ გაიტაცა ეკლესიის უძრავი ქონება. გარყვნილმა და ტურტლიანმა ეგზარხოსმა ეუზებ ილინსკიმ გაჰყიდა ყველაზე ძვირფასი სამკაული ქართველ კათალიკოზებისა. მანვე გაიტაცა იშვიათი ბრილიანტები და მონაწილეობა მიიღო გელათის გაქურდვაში. ეგზარხოს ეუზებმა რამდენიმე ასი ათასი მანეთი ეკლესიის ქონება გად მალა და თავის ეგზარხოსობის დროსვე გასძარცვა ქართული ეკლესიების მილიონი ღირებულების განძები.

სემინარიის რექტორმა საჯაროთ ქართულ ენას ძაღლის ენა უწოდა და ზემოთ მოთრეულ ეგზარხოსმა საქართველო ეკლესიაში დასწყევლა და შეაჩვენა. აი ამიტომ იყო, რომ დიმიტრი ყიფიანმა თიბათვეში 1887 წელს ეგზარხოს პავლეს მისწერა და ურჩია მოეხადა ბოდიში ქართველების წინაშე მაგრამ საქმემ სულ სხვა მიმართულება მიიღო. პავლე ეგზარხოსის მოთხოვნით დონდუკოვ კორსაკოვმა, რომელიც კავკასიის მბრძანებელი იყო, დიმიტრი ყიფიანი გადაასახლა სტავროპოლში. მალე დაკითხვაზე დაიბარეს პეტერბურგში, მაგრამ მოსყიდულ კაცების საშუალებით სასტუმროშივე მოჰკლეს.

1870 წლებში გელათში დაგროვილი იყო აურაცხელი სიმდიდრე. ამ დროსვე იქ ინახებოდა ქართული სახარება მე 11 საუკუნისა, რომელიც მოჭედილი იყო ოქროთი და საიშვიათო ძვირფასი ქვებით. ეს სახარება ეგზარხოსის ნებართვით ქუთაისის მმართველმა სავაროვმა თავისთან წაიღო და ოქროს სამკაული ვერცხლად შესცვალა. დღეს ეს ოქროს სამკაული პეტერბურგში სტროგანოვის მუზეუმში ძევს, სადაც კომტ პანინმა წაიღო. ინგლისელებმა ამ ოქროთ მოჭედილ ყდაში მილიონი მანეთი შეაძლიეს. გელათშივე ინახებოდა აფხაზეთის კათალიკოზის საეკლესიო მორთულობა, რომელიც კონსტანტინოპოლის აღების წინ იყო გაკეთებული. ამ მორთულობიდან ააგლიჯეს 3200 დრაჰმა ოქრო და ძვირფასი თვლები და რუსის ზნედაცემულ ქალებისათვის სამაჯურები გააკეთეს.

ეგზარხოსის თანხმობით პანინმა და სავაროვმა სიონის ტაძრიდან უანგარიშო სიმდიდრე მოიტაცეს, როგორც ოქრო, ისე ძვირფასი და იშვიათი ქვები. ეს დღე დამართეს მცხეთის ტაძარსაც, ალავერდს, ბოდბისს, წმიდა ნინოს, წმიდა იოანე ნათლის მცემელს და სხვა მონასტრებს და ტაძრებს.

1870 წელზე ადრე კომტ ბობრინსკიმ ეგზარხოსის თანხმობით სიონის ძველი ხელთნაწერი წაიღო. გელათის მონასტრიდან მოიპარა კათალიკოზის მიტრა, ძვირფასი თვლებით მოჭედილი. მათში ირჩეოდა ბრილიანტების ჯვარი, ეს საიშვიათო თვლები სპარსეთის ბრძოლიდან იყო წამოღებული ვახტანგ მეფის მიერ და თვით მეფე ვახტანგის გვირგვინიდან აღებული

ეგზარხოს პავლემ მცხეთიდან მოიპარა ხატი 50 000 მანეთის ღირებულებისა, რომელიც სამი კოქლომით იყო დაკეტილი. 1898 წელს ამ ეკლესიის ჭერში იპოვეს დაგდებული ეს ხატი და ყოველგვარ ძვირფასეულობიდან გაძარცული. ამავე ეგზარხოსმა მოიპარა მშვენიერი ხატი წმიდა ქალწული ნინოწმიდისა. ეგზარხოს პალადმა ნება დართო ერთ მხატვარ სომეხს წაეღო ყველა ხატები ქართულ ეკლესიიდან და გაეყიდა და შემოსავალი გაეყო.

ცარისტულ რუსების დროს საქართველოს ყველა პროვინციის ეკლესიებიდან, როგორც უძრავი ქონება, წაღებულია 137 000 000 მანეთისა.

დღეს უკვე ბოლშევიკურმა რუსეთმა საბოლოოდ გაძარცვა ქართული ეკლესია და მონასტერი.

ბეჟან გიორგაძე.

(გაგრძელება ექნება)

## კორპორაცია.

დემოკრატიზმის დამყარებამდე, მუშის ზნეობრივ-ნივთიერი ვითარება ბევრად უკეთეს პირობებში იმყოფებოდა.*)

უკვე მე XII საუკუნეში დაარსდნენ პროფესიონალური კავშირები. მათ, საფრანგეთში, Corps de métier უწოდებდნენ. შემდეგში „კორპორაციები“ დაარქვეს. საქართველოში მათ „ამქარი“ ეწოდებოდათ. მე 18 საუკუნეში, სოლომონ ლეონიძემ ამქართა დაწესებულებაში მნიშვნელოვანი განახლება შეიტანა.

სოლომონ ლეონიძის „ამქარის“ რეფორმას შემდეგში გავაცნობთ მკითხველს..

ამ რიგად, საქართველოშიც, ამქრებზედ და მუშის მდგომარეობაზედ სახელმწიფო ზრუნავდა, ე.ი. შრომის საკითხი სახელმწიფოს მიერ იყო მოწესრიგებული.

კორპორაციებს ხშირად დიდი ქონება ჰქონდათ ხოლმე. მაგალითად პარიჩის მემაუდეთა კორპორაციას (დაარსდა 1188 წ.) თვით პარიზში 20 სახლზე მეტი ებადა და სხვა ქალაქებშიც მრავალი უძრავი ქონება ეკუთვნოდა.

კორპორაციებს, უმთავრესად, ორნაირი შემოსავალი ჰქონდათ: 1) წარმოების მოგებიდან აღებული, განსაზღვრული პროცენტი და 2) საკუთარ ქონების შემოსავალი. კორპორაციას თავის წევრებისადმი განსაზღვრული მოვალეობა ედო, რითაც უახლოვდებოდა დამხლვევ საზოგადოების ტიპს.

ყოველი მუშა რომელიმე კორპორაციის წევრი იყო. ეს უკანასკნელი მუშისათვის ნამდვილ დიდი ოჯახის როლს თამაშობდა. კორპორაციის მოვალეობა მუშისადმი მრავალი და მრავალგვარი იყო. უმთავრესი მათგანი: 1) კორ. ზრუნავდა მუშისათვის ხელობა საუკეთესო პირობებში შეესწავლებინა. ის თვითონვე აბარებდა შეგირდს ღირსეულ ხელოსანს. ოსტატს ევალებოდა შეგირდის სწავლის, აღზრდის და ზნეობის ხელმძღვანელობა. ოსტატის მოვალეობას შეგირდისადმი, კორპორაციის მიერ სავალდებულოდ ქმნილი, განსაკუთრებული წესდება განსაზღვრავდა. წესდება მოვალედ რაცხდა ოსტატს: შეგირდისათვის ხელობა ზედმიწევნით შეესწავლებინა, რისთვისაც საგანგებო გამოცდები არსებობდნენ; უნდა კარგად მოევლო: კარგად ჩაეცმია, დაეხურნა და ესაზრდოვებინა შეგირდი; ოსტატს და მის ოჯახს უნდა შეგირდის ზნეობაზედაც ეზრუნათ. ამნაირად, შეგირდი ოსტატის ოჯახში პოულობდა საჭირო ზნეობრივ მფარველობას და ნივთიერ უზრუნველყოფას.

2) თუ მუშას სიბერის ან დასახიჩრების გამო შრომა აღარ შეეძლო, კორპორაცია მას საცხოვრებლად საკმარისს პანსიონს აძლევდა. 3) ავადმყოფობის დროს კორპორაცია მუშას საჭირო დახმარებას უწევდა; თუ ის სამუშაოს ჰკარგავდა კორპორაცია ვალდებული იყო მისთვის ახალი სამუშაო აღმოეჩინა მისივე სპეციალობის დარგში; მუშის სიკვდილის შემდეგ კორპორაციას უნდა შეენახა მისი ოჯახი.

ამნაირად, მუშა არ იყო მოკლებული საკუთრებას, თუნდაც იმიტომ, რომ ის ეკუთვნოდა მდიდარ კოლექტივს, რომელს დიდი შეძლება გააჩნდა და მუშას ამ შეძლებაზედ განსაზღვრული უფლება ჰქონდა. ერთი სიტყვით მუშა წევრი იყო გავლენიან ორგანიზაციისა, რომელიც მას ყოველ გასაჭირის დროს მფარველობდა და მის ხვალინდელ დღეს უზრუნველს ჰყოფდა.

მაგრამ დამყარდა თუ არა დემოკრატიზმი მისი პირველი აქტთაგანი კორპორაციების დაშლა იყო. მაგალითად საფრანგეთში, 14 ივნისს 1791 წლის კანონით დემოკრატიულმა წყობილებამ კორპორაციები გააუქმა და მათ დაარსების შეცდასაც კი სიკვდილითა სჯიდა. კორპორაციათა ქონებას კი დემოკრატიის მაშინდელი ბელადები დაეპატრონენ და ერთმანეთში გაინაწილეს.

ამნაირად, დემოკრატიზმმა გასძარცვა მუშა: წაართვა მას საუკუნეებით დაგროვილი ქონება; მოუსპო მას მისი მფარველი ორგანიზაცია და უმფარველოდ, უპატრონოთ, გალატაკებული ქუჩაში გადააგდო. ერთი სიტყვით, დემოკრატიზმმა ხელ-ფეხ შეკრული მუშა მიატოვა პატრონის წინაშე.

კორპორაციების მიერ პატრონი განსაზღრული იყო თავის უფლებებში მუშისადმი. მას განმარტოებულ მუშასთან კი არა ჰქონდა საქმე, არამედ დაკანონებულ და ძლიერ ორგანიზაციასთან, რომელიც მუშას მფარველობდა. მას თავის ნებაზე მუშის დათხოვნაც კი არ შეეძლო. დათხოვნის მიზეზი კორპორაციის მიერ შეწყნარებული უნდა ყოფილიყო. დემოკრატიზმმა მუშას სწორეთ ეს მფარველობა მოაკლო.

სწორეთ 14 ივნისის 1791 წლის კანონის შედეგათ შეიქმნა მოქალაქეთა ის კატეგორია, რომელს ეწოდება პროლეტარიატი, ე.ი. საზოგადოების ის ელემენტი, რომელს თავის სარჩენათ საკუთარ ხელების მეტი არა გააჩნია რა და რომლის ხვალინდელი დღე უზრუნველ ყოფილი არაა.

*) ამას თვით მარქსი, პრუდონი და ლაფარგიც კი აღიარებენ.

სოციალისტებმა ეს მოვლენა სადემაგოგიო მასალათ გამოიყენეს. მარქსმა პროლეტარიატი, როგორც მოვლენა, ცხოვრების აუცილებელ კანონათ აღიარა და მასზედ მთელი თეორიები ააგო.

თუ ინდივიდთა შორის ან საზოგადოების შემადგენელ ჯგუფთა შორის ურთიერთობას რაიმე კანონი არა საზღვრავს, კანონიერების ალაგს ძალმომრეობა იჭერს. ეს ბუნებრივია. დემოკრატიზმის ეკონომიკა დამყარებულია პოლიტ. ეკონომიის ლიბერალურ სკოლაზედ.*) ამ სკოლის შეხედულობით სახელმწიფო ეკონომიკაში არ უნდა გაერიოს; წარმოების ნიადაგზე შექმნილ ურთიერთობის მომწესრიგებლად სახელმწიფო არ უნდა გამოვიდეს. ლიბერალურ სკოლის დევიზია: „laisser faire“ ამიტომ ბუნებრივია, რომ დემოკრატიულ წიალში, ეკონომიკის ნიადაგზე შექმნილ პატრონთა და მუშათა შორის დამოკიდებულებას ძალმომრეობა განაგებს. დემოკრატ. წყობილებაში ამ მოვლენას თვით ობიექტიური პირობები ჰყოფენ აუცილებლად. ამ გარემოებამ გამოიწვია კლასთა ანტაგონიზმი და სოციალისტების მიერ გაღვივებული კლასთა ბრძოლა. ერთი სიტყვით, მარქსის კომუნიზმი სწორეთ დემოკრატიულ ნიადაგზე წარმოიშვა.

დღეს შრომის საკითხი ისეთი სიმწვავითა სდგას, რომ ის ან უნდა უფლებრივ ნიადაგზედ გადასწყდეს და დამყარდეს, ან ევროპას კომუნისტური განსაცდელი მოელის. ხოლო დემოკრატ. წყობილება ამ საკითხის წინაშე, როგორც ზემოთა ვსთქვი, ყოვლად უძლური გამოდგა. ან როგორ შეუძლიან დემოკრატ. წყობილებას თავიდან ააცილოს საზოგადოებას ის, რაც მისივე პრინციპებიდან წარმოიშვნენ. მაგრამ ევროპიელი ხალხი რუსეთის ბნელ სტეპების ბნელი ბრბო არაა, რომ თავისი მაღალი, საუკუნეებით შექმნილი ცივილიზაცია ბოლშევიკურ უფსკრულში შთანთქვას. ის თავიდან მოიშორებს ბოლშევიკურ საშიშროებასაც და ამ უკანასკნელის წყაროს: დემოკრატიზმსაც. ევროპამ უკვე იპოვნა ახალი პრინციპი საზოგადოების პოლიტ. და სოც. ორგანიზაციისა: ეროვნული სახელმწიფო.

ქართველებს დიდათ გვმართებს დაუფიქრდეთ ამ საკითხს. ბევრი მიზეზების გამო და, სხვათა შორის იმიტომაც, რომ შრომის საკითხი ჩვენშიც იდგა და მომავალშიც დადგება. მაშასადამე ამ საკითხის გადამწყვეტი, უკეთესი საშუალება უნდა შევისწავლოთ, ეს საშუალება კი სწორეთ ისაა, რომელს ადგია ეროვნული სახელმწიფო: კორპორაცია. აქ საკითხი ისმის: ეროვნული სახელმწიფოს კორპორაცია არის ძველი, საშუალო საუკუნეების კორპორაცია? არა. დარჩა მხოლოდ მისი ძველი პრინციპი და ფორმა კი ახალია.

ცხოვრების ძირითადი პრინციპი უცვლელია, მხოლოდ ფორმები იცვლებიან ხოლმე. მაგ: ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება მუდმივი პრინციპია. მაგრამ საზოგადოებრივი წყობილება, ფორმა კი იცვლება ხოლმე. ანტიურ და თანამედროვე საზოგადოების ფორმა, სტრუქტურა სულ სხვა და სხვანაირია. მათი პრინციპი კი უცვლელად ერთი და იგივეა. ერი უნდა სახელმწიფოთ იყოს მოწყობილი· ეს უცვლელი პრინციპია, მაგრამ თვით სახელმწიფოს ფორმები ცვალებადია.

ეროვნულ სახელმწიფოს ძალა და ღირსება იმაშია, რომ ის იცავს ცხოვრების და ცივილიზაციის საჭირო და გარდუვალ პრინციპებს და პოლიტ.სოც. ორგანიზაციის მხოლოდ ფორმებს ანახლებს. ასევე იქცევა კორპორაციისადმი. ეროვნული სახელმწიფო ინახავს კორპორაციის ძველ პრინციპს: სოლიდარობა, თანამშრომლობა, ზრუნვა მუშაზედ და მისი მფარველობა. ხოლო, თვით სისტემა, თვით ფორმა კორპორატიულ ორგანიზაციისა სავსებით განახლებულია: შეგუებულია თანამედროვე პირობებთან, თანამედროვე წარმოების წიაღში შექმნილ მდგომარეობასთან.

რას წარმოადგენს დღევანდელი ახალი კორპორაცია? წარმოების ერთსა და იმავე დარგის პატრონები ცალი მხრივ და მუშები მეორეს მხრივ ადგენენ თავ-თავის პროფესიონალურ სინდიკატებს. ამ სინდიკატებს აკანონებს სახელმწიფო. ორთავე სინდიკატი ირჩევს წარმომადგენელთა თანასწორ რიცხვს: ეს წარმომადგენელნი შეადგენენ ერთ დაწესებულებას. აი, ამ უკანასკნელს ეწოდება კორპორაცია.

საჭიროა მუშათა და პატრონთა ცალ-ცალკე სინდიკატები, რათგან მათ საკუთარი სპეციფიური ინტერესები აქვთ. მაგრამ აქვთ საერთო ინტერესებიც: 1) ორთავე მხარე დაინტერესებულია, რომ ის წარმოება, რომელსაც ისინი ეკუთვნიან მუდმივ წარმატებას განიცდიდეს, რათგან მათი მატერიალური კეთილდღეობა აქედგანაა დამოკიდებული. ამიტომ, კორპორაციის ზრუნვის საგანს უპირველესად წარმოების აყვავებაზედ ზრუნვა შეადგენს.

2) ორთავე მხარის ინტერესებს შეადგენს ხელფასის მოწესრიგება. ამაზედაც ზრუნავს კორპორაცია. ვინაიდან კორპორაციაში მუშათა და პატრონთა რიცხვი თანასწორია, ამიტომ დიდი შანსია მისი, რომ ეს საკითხი [illegible] ნიადაგზედ გადაწყდეს. კორპორაცია[illegible] რა პირობებში იმყოფება წარმოება, რა მოგებას იძლევა და მაშასადამე რა ხელფასის გაღება შეუძლიან ისე, რომ ზარალი არ ნახოს. ამნაირად, ხელფასის განსაზღვრა პატრონზედ აღარაა დამოკიდებული და მუშა მისი თვითნებობის ამარა არ არის. მეორეს მხრივ, ხელფასის განწესება კორპორაციის მიერ ზედმეტად ჰყოფს გაფიცვებს, საბოტაჟებს, რაც ერს დიდ ზარალს აყენებს და თვით მუშებსაც არა ნაკლებათ აზარალებს ხოლმე.

*) იხ. ამის შესახებ „თ.გ. და მუშათა საკითხი“ ლეო კერესელიძის.

3) კორპორაცია მშვიდობიანი გზით და შეთანხმებით აწესრიგებს პატრონთა და მუშათა შორის შექმნილ კონფლიქტებს. ესაა მისი ერთ უმაღლეს დანიშნულებათაგანი.

დემოკრატიულ წყობილებაში მუშათა სინდიკატები და პატრონთა Lock-aut ები მხოლოდ ერთმანეთთან საბრძოლველად არიან შექმნილნი. ეს მტერთა ბანაკებია და ამ ბანაკთა ხელმძღვანელნი პოლიტ. პარტიები ბრძანდებიან. ამნაირად, დემოკრატიზმისათვის სინდიკატები ერის ძალთა დამყოფი, ერთმანეთზე ამასისინებელი ბრძოლის საშუალებაა, მაშინ როდესაც ეროვნულ სახელმწიფოსათვის სინდიკატები და კორპორაცია მშვიდობიანობის ფაქტორია. ერის ძალთა შემკონავი, შემაკავშირებელი საშუალება.

4) კორპორაცია ზრუნავს მუშების სულიერ. გონებრივ და ნივთიერ მდგომარეობაზე. მათი შვილების აღზრდაზედ, მათ ოჯახზედ. ამ მიზნით კორპორაციებს საგანგებო დაწესებულებათა მთელი რიგი აქვთ შექმნილი. უადგილობის გამო ამ დაწესებულებებს აქ არ ვეხები. ახლო მომავალში გამოვა წიგნი: „ეროვნული სახელმწიფო“, სადაც მათ განვიხილავთ.

5) კორპორაციის წყალობით მუშის ხვალინდელი დღე უზრუნველ ყოფილია. რათგან ვალდებულია მუშას, თუ ეს უკანასკნელი უმუშაოთ დარჩა, ახალი სამუშაო აღმოუჩინოს თავისივე სპეციალობის დარგში. ავადმყოფობის დროს დახმარება მიაწოდოს, სიბერის დროს მისცეს საკმარისი პანსიონი და მისი სიკვდილის შემდეგ მის ოჯახს ყოველნაირად დაეხმაროს. მუშა წევრია მძლავრი ორგანიზაციისა, რომელიც მფარველობს მას, ის არ არის მხოლოდ შრომის მუსკულური ძალა ან უსულო მანქანა წარმოების წიაღში, არამედ მრავალ საკითხებში მას ეკუთვნის შესამჩნევი სუბიექტიური როლი. თუ ვინიცობაა კორპორაციამ ვერ შესძლო რომელიმე კონფლიქტი, მუშათა და პატრონთა შორის, მორიგებით მოაგვაროს, ამ შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის არბიტრის როლში და მისი გადაწყვეტილება საბოლოვოა. რასაკვირველია ამ მნიშვნელობის როლის თამაში შეუძლიან მხოლოდ ზეკლასიურ სახელმწიფოს. ესეთი კი მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოა.

რეალური წარმომადგენლობა,*) რომლით ერის რეალური ინტერესები ნათელყოფილია, მკაფიოთაა დასმული და რომლით პარტიათა ბატონობას ბოლო ეღება; კორპორაციები, რომელთა წყალობით მყარდება კლასთა მშვიდობიანი თანამშრომლობა ჰქმნიან იმისთანა ობიექტიურ პირობებს, რომელზედ შენდება ეროვნული, მიუდგომელი, ზეკლასიური, უფლებრივი სახელმწიფო. ესეთი სახე ექნება საქართველოში თეთრი გიორგულ სახელმწიფოს, რომლის ლოზუნგი იქნება: საქართველო უწინარეს ყოვლისა, ე.ი. ეროვნული ინტერესი უწინარეს და უმაღლეს კერძო, ჯგუფურ, კლასობრივ ინტერესებზედ.

ჩვენ, თეთრი გიორგელები დიდ ყურადღებას ვაქცევთ შრომის საკითხს, რათგან შრომასთან ორგანიულათაა დაკავშირებული ეროვნული ცხოვრების ყოველნაირი ეთიური თუ ნივთიერი ვითარება.

ჩვენ ურჩევთ ქართველ ახალგაზრდობას შეისწავლოს შრომის საკითხი, მისი მოწესრიგების საშუალება და ღრმად ჩაუფიქრდეს ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მოვლენას.

ლ. კ.

## „ბრძოლის ხმა“ თუ ბრძოლის ღალატი?

(გაგრძელება.)

ვიდრე „მთავრობა“ დასტოვებდა საქართველოს 1921 წლის მარტში, მას, თავზარდაცემულობის და, უფრო მარტივათ რომ ვსთქვათ,—სიმხდალის გამო, მტერთან ხელშეკრულობაც ჰქონდა დადებული, რომელსაც სრული კაპიტულიაციის და მტრის ხელისუფლების ცნობის მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენ ამისათვის სათანადო დოკუმენტებს ვერ მოვიყვანთ, ხოლო, საკმარისია დავაკვირდეთ „ბრძოლის ხმის“ მეორე ნომრის

*) იხ გაზ. „თ.გ.“ № 24 „რეალური წარმომადგენლობა“.

მოწინავე წერილის შემდეგ ფრიად საინტერესო დებულებას: „ლენინმა სცადა ჩვენი მოტყუება, კოალიციურ მთავრობით დაპყრობის გადაფუჩეჩება, რის მისიით მან გამოგზავნა მოსკოვიდან ენუქიძე. აქ კი კოვში ნაცარში ჩაუვარდათ, ჩვენ შევიქციეთ ისინი ქუთაისში, მათი ჯარი გაჩერდა ბათომის ახლოს და ჩვენ დაგვრჩა საკმარისი დრო უკანასკნელი თადარიგების გასაცემათ.“ ცნობილია, რომ ამ “უკანასკნელი თადარიგების“ გაცემა უბრალო გაქცევაში მდგომარეობდა და არა ბრძოლის გაგრძელებაში.

ყოველ შემთხვევაში, დაპყრობის შემდეგ დამარცხებულ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წარმომადგენელმა მოაწერა ხელი ხელშეკრულობას, რომლის·მეოხებით „მათი ჯარი გაჩერდა“ და მთავრობას დაურჩა “საკმარისი დრო უკანასკნელი თადარიგების გასაცემათ“.

სად არის შენახული ეროვნული ღირსების შემზარავი საჩავო ხელშეკრულება?

ყოველ ქართველს, და მეტადრე პოლიტიკურ ემიგრანტს, უფლება აქვს იცოდეს რა იურიდიული აქტი იყო ხელმოწერილი მისი მთავრობის მიერ, რათა მას შეეძლოს გადაწყვიტოს: კისრულობს ის პასუხისმგებლობას ამგვარ იურიდიული აქტების შედეგებისათვის სამშობლოს, ერისა და ისტორიის წინაშე; თუ არა? სავალდებულოა თუ არა მისთვის ეს ხელშეკრულობა, და თუ ის არ არის სავალდებულო, აქვს თუ არა მას ზნეობრივი უფლება მამულიშვილობას ზურგი უბრუნოს და თავისუფალ არსებობის პირობებშიაც სცნობდეს „მთავრობას“, რომელმაც თავის დროს მტერს მიუგდო სამშობლო, ერი, მიწაწყალი და კიდევაც მას დაუკანონა ეს შემოსევა ბნელი ხელშეკრულობის ძალით? ამ ხელშეკრულობაზე ლაპარაკი ჩამოვარდა სწორეთ იმ ვენის ინტერნაციონალის ერთ კრილობაზე, რომელსაც ეხება „ბრძოლის ხმის“ მეორე ნომერი. შესაძლებელია, რომ დადგება დრო, როდესაც რუსეთი უკვე უყოყმანოთ გამოაქვეყნებს ამ ხელშეკრულებას, თუ ქართველებმა მისი შედეგი არ გააბათილეს და მას არ შეუშინდება განაცხადოს, რომ საქართველოს ის დაეპატრონა სამხედრო შემოსევის საშუალებით და არა ე.წ. გასაბჭოების გზით.

რომელ პოლიტიკურ ორგანიზაციას შეეძლება ეს განაცხადოს? —სწორეთ იმ მეორე ინტერნაციონალში შემავალ რუსეთის სოციალისტების ორგანიზაციას, რომელიც ნატრულობს ბოლშევიკურ რეჟიმის საერთაშორისო უფლებრივ მიღწევათა, ჩამომავლობის წესით, იოლად ხელში ჩაგდებას და გამოყენებას მის ქვეყნის სასარგებლოდ, ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ. ეს ხალხი, (ე.ი. ქართველ მენშევიკების „ამხანაგები“) დღეს ემიგრანტულ დევნილობაში განადგურების მუქარით მიმართავს ყველა არა რუს ერებს— შემავალს საბჭოთა კავშირის ფარგლებში საზოგადოთ, და განსაკუთრებით, ქართველ ერს. ჩვენ „მთავრობას“ და მენშევიკურ პარტიას დღითი დღე ესმის ეს მუქარა ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული და რა იქნება მაშინ, როდესაც ყოველგვარ ნამუს დაკარგული და ნამდვილი მუჟიკური რუსეთის წარმომადგენელი ბრბო ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში? ვინ იცის, იქნება სიტყვიდან ის შეეცდება საქმეზედაც გადავიდეს. ამის მიუხედავათ ქართული მენშევიკური პარტია და «მთავრობა» მაინც „საბჭოთა კავშირში ყველა სოციალისტური პარტიების შეთანხმების ნიადაგზე“ სდგას. რითი აიხსნება ეს? ყოველ შემთხვევაში არა იმით, რომ „მთავრობას“ დაკარგულის და მტრისათვის სიმხდალის გამოისად დაკანონებული ხელისუფლების დაბრუნების სურვილი არა აქვს. ეს სურვილი მას ყოველთვის ჰქონდა და კიდევაც ექნება, მაგრამ ერთია სურვილი, მეორეა სინამდვილე. თუ სურვილის ასრულება შეუძლებელია, პატარა რამ მაინც „შემოინახოს„ ისედაც პატარა ხალხმა. ეს პატარა რამ სხვათა შორის გახლავთ ფარფაში საერთაშორისო ასპარესზე. მხოლოდ რა გზით? რა თქმა უნდა სოციალისტურ საერთაშორისო მოძრაობის თუნდაც ყალბ, მაგრამ მაინც ნაცად გზით... საითკენ არის მიმართული ეს გზა ეროვნულ საკითხში? ეს გზა მიმართულია ეროვნულ თვითმყოფობისა და სუვერენობის გაუქმებისაკენ, რადგანაც; რაც არ უნდა სურდეთ ზოგიერთ „ბელადებს“.., ინტერნაციონალის დედააზრი სწორეთ ის არის, რომ ეროვნება კაცობრიობის დიფერენციაციის საფუძველი აღარ იყოს. მისი ადგილი უნდა დაიკავოს კლასმა, კლასთა ერთმანეთისადმი ხელოვნურმა დაპირდაპირებამ და სამოქალაქო, საყოველთაო, ყოველნაირმა ბრძოლამ. ამ ბრძოლამ უნდა დაანგრიოს ეროვნებათა დამოუკიდებლობის, ანუ საერთაშორისო უფლებრივ სუვერენობის მცნება. მაგრამ სუვერენიტეტის ინსტიტუტის დანგრევა ნიშნავს ამავე დროს „დიდთა და წვრილთა“ უფლებრივ თანასწორობის უარყოფას. ამით ისარგებლებენ მხოლოდ ფიზიკურად ძლიერი და მოსახლეობით მრავალრიცხოვანი ერები. სოციალისტურ საერთაშორისო მოძრაობის გზაზე რომ შევჩერდეთ, ჩვენ დღესაც დავინახავთ, რომ მის დამლევს მოსჩანს ეროვნულ საკითხის სწორეთ ასეთი გადაწყვეტა. და ეს ბუნებრივიც არის. შეეცადეთ დააქციოთ საერთაშორისო უფლებრივი განწყობილებათა სხვა და სხვა სისტემები, ხალხთა შორის არსებული უფლებრივი საზღვრები, ანუ იგივე კედლები აგებულნი ძლიერ და სუსტ ეროვნებათა შორის, ადვილად დაინახავთ, რომ ყოველი მცირერიცხოვანი ეროვნება, ადრე თუ გვიან, კიდევაც რომ ის საუკეთესო რასის ნიმუშს წარმოადგენდეს, მრავალრიცხოვან და თუნდაც ტლანქი ძალის მსხვერპლად იქცევა.

მოხდება სწორედ ის, რაც სწარმოებს საბჭოთა კავშირის ფარგლებში, რასაც ყველი პატიოსანი ქართველი დღითი დღე აკვირდება და რასაც თვით რუსებიც აღნიშნავენ, როგორც მილიუკოვები და მირკინ-პეჩევიცები თავის სამეცნიერო ნაშრომებში, აგრეთვე ბესედოვსკები და სხვები პუბლიცისტურ გამოსვლებში. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა და არ მიეწერება არც სტალინის პოლიტიკას და არც სხვა რომელიმე „დერჟიმორდისას“. ეს თვით ბუნებაა ყოველგვარი მოძრაობისა, რომელიც მიმართულია ეროვნულ სუვერენობის წინააღმდეგ და რომლითაც ყველაზე იოლად სარგებლობენ დიდრონი ერები. ამ მოძრაობათა შორის ყველაზე საზიზღარი და საშიშარი, როგორც კაცობრიობის კულტურისას, აგრეთვე შემოქმედების უნარით აღსავსე პატარა ერებისათვის, არის სოციალისტურ ინტერნაციონალური მოძრაობა. რა ფერიც არ ეცხოს და რა ნომერიც არ აკრავდეს მას—მეორე მესამე, თუ ორნახევარი, სულ ერთია.

დღეს ქართველი სოციალ დემოკრატია და მასთან ერთად „მთავრობა“ იძულებულია სამშობლოს მტერს ხოტბა შეასხას, რათა მიეცეს უფლება მეორე ინტერნაციონალის ორპირ კერპს ფეხები ულოკოს. ეს სწორეთ იმით აიხსნება, რომ ამ კერპის თაყვანისმცემელ ქურუმებისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ას მილიონიანი რუსეთის სოციალისტურ პარტიებისათვის ანგარიშის გაწევა, ვიდრე რასიულად მშვენიერ, მაგრამ რიცხვით შედარებით პატარა ქართველი ერის „ბელადებისათვის“. ეს არის საერთაშორისო სამართლიანობის იდეის გაგება მეორე ინტერნაციონალის მიერ. ეს არის ეროვნული პოლიტიკის წარმოება ქართული მენშევიზმის მხრით. ამ პოლიტიკოსების აზრით საქართველოს ვერავითარი მოკავშირე ვერ გამოუჩნდება- ეს მართალია, რადგანაც ვიდრე საქართველოს მებრძოლ ძალების წარმომადგენლობას ჩემულობსეს ბნელ საქმეთა მწარმოებელი „მთავრობა“, ჩვენ ერს არც ერთი მოკავშირე არ მიეკარება· რაც შეეხება ოსმალეთს, ამ სახელმწიფოს მიმართ საქართველოს არა ნაკლები დაუშავებია ვიდრე მას ჩვენდამი. რატომ და რისთვის, ამაზე აქ არ შევჩერდებით. საკმარისია ჩვენი პოზიციის გახსენება სევრის ხელშეკრულობის მიმართ დამოუკიდებლობის დროს, რომ ადვილი ასახსნელი იყოს ოსმალეთის იმდროინდელი პოლიტიკა საქართველოს და რუსეთისადმი.

დღეს ოსმალეთმა ქვეყნიერების თვალში დაამტკიცა მისი ცხოველმყოფელი ძალა. სისხლითა და რკინით გამოსჭედა თავისი დამოუკიდებლობა. ერთსულოვან ეროვნულ ბრძოლით ჩამოაყალიბა ეროვნული საზღვრები და დაადგა აყვავებისა და აღორძინების გზას. მას დღეს ალტაცებით შესცქერის მთელი აღმოსავლეთი, ეგვიპტე, სპარსეთი, ავღანისტანი, ინდოეთი დაჩაგრული ერი, რომელთა მოძრაობას არც რელიგიოზური და არც რასიული ფანატიკოსობის ელფერი არა აქვს. ისლამი რომ ამ ჟამად აღმოსავლეთ ერების ამამოძრავებელ იარაღს წარმოადგენდეს, ოსმალეთი მას ხელს არ დაანებებდა.

სისხლში და რკინაში ამოვლებული თანამედროვე ოსმალეთის ერის ბელადები ებრძვიან რელიგიოზურ ფანატიკოსობას. მათი მოძღვრება ნამდვილი ეროვნულ ინდივიდუალიზმის მოძღვრებაა, რომელსაც არც ერთი წვეთი სოციალისტური შხამის არ ურევია

ეს არის რუსთაველის მიერ აღწერილი მშვენიერ ქვეყნების გამოღვიძება და ამოძრავება.

საქართველოს სრული უფლება აქვს მოიპოვოს ამ აღმოსავლეთის ფერხულში თავისი ადგილი და სათანადო გავლენის მქონე მოკავშირე გამონახოს მის მეზობელთა შორის.

ინგლისი და რუსეთი შეთანხმებით ჰყოფდნენ აზიის კონტინენტს „გავლენის ზონებათ“..

გრეის, კერზონ-ლოიდ ჯორჯის და მაკდონალდ-ჰენდერსონის პოლიტიკა იგივე ბრიტანეთის საუკუნეებრივი პოლიტიკაა, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთ ერების წინააღმდეგ. ამისათვის მას სჭირდება მძლავრი ზურგში დასაცემი რუსეთის იარაღი. ის ამ იარაღს მხარს უჭერს, საერთაშორისო მდგომარეობას უმაგრებს და მეორე ინტერნაციონალი ამ საშინელებას ტაშს უკრავს. საქართველოს ამ პოლიტიკასთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს. მისი გზა ეროვნულ-ინდივიდუალური უძლეველი მოძრაობის გზაა. მან უნდა განათავისუფლოს აღმოსავლეთი რუსეთის სადივერსიო მუქარისაგან, რომლითაც, მცირეოდენი მეტოქეობის მიუხედავათ, მუდამ სარგებლობს და ისარგებლებს ინგლისი.

მენშევიკური „მთავრობის“ ლაქიობა მეორე ინტერნაციონალის და სხვების წინაშე უნდა დასრულდეს. რა უფლებით ლაპარაკობს ის საქართველოს სახელით? რა გზას ადგია, რას აკეთებს? რა ფასით ახურდავებს ეროვნულ ნამუსს? [illegible] რა ახალ ძირს უთხრის სამშობლოს მომავალს?

ეს არის საკითხთა რიგი, რომ[illegible] ყოველ ქართველს უფლება აქვს ნათელი პასუხი მიიღოს და გამოარკვიოს მის ე. წ. მთავრობის მისტიური უფლებები და გაუგონარი ბოროტმოქმედებანი.

ჩვენ მოთმინების ფიალა გვევსება, მაგრამ მაინც მოუცდით გარკვეულ პასუხს.

**ქართველი.**

## უკმაყოფილების წერილზე.

დიდ დაბრკოლებათა მიუხედავათ თეთრი გიორგი ძლიერდება და ენერგიულად მიიმართება თავის დასახულ მიზნებისაკენ. აუცილებლად მოსალოდნელი დაბრკოლებანი მხოლოთ აცოცხლებენ მის ენერგიას.

სიძლიერე თეთრი გიორგისა გამოიხატება იმაში, რომ მან ჩაყარა საფუძველი ახალი ჭეშმარიტი კულტურისა, რადგან მოგვცა ნიშნები და ნიმუშები ძლიერი მორწმუნეობისა. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ რწმენაზე შენდება ჭეშმარიტი კულტურა.

ასეთი მორწმუნოებრივ ნიშნებს ატარებს ბ.ბ. გიორგაძის წერილი (იხ. „თ.გ.“ №25 „გადაგვარების გზაზე») რომელმაც გამოიწვია აქ მოყვანილი უკმაყოფილოთა წერილი. ჩვენც მიზნათ დავისახეთ, რომ ზოგიერთი რამ აღვნიშნოთ ამ „უკმაყოფილეობის წერილის“ გარშემო.

ბ.ბ. გიორგაძის წერილი „გადაგვარების გზაზე“ არის ინდივიდუალურ ჟანრით დამუშავებული და ატარებს ჩვენთვის საერთოდ მისაღებ პოლიტიკურ შინაარსს, ეს გამოიხატება შემდეგში: უკუგდება ყოველგვარ რუსულ გამხრწნელ იმპერიალისტურ გავლენის. ეს წერილი ამბობს: მიყვარს საქართველო, მისი ეროვნული კულტურა და ყველაფერი რაც მას ებრძვის არის სატანა და ბოროტი, რომელსაც ყოველთვის და ყველგან ვამხელ და ვებრძვი. ეს არის შინაარსი და ფილოსოფია ამ წერილისა, რომელიც გაჟღენთილია დიდი რწმენით. ამისათვის საგანი და საფუძველი ახალი ხალხის და ახალი კულტურის. ბევრს ამ ახალი ხალხის მისწრაფება არ ესმის, არ ესმის „ზემოხსენებულ წერილსაც“. არ ესმის იმ ხალხს რომელიც მიეჯაჭვა ძველ სულისკვეთებას. ეს მოვლენა ფსიქოლოგიურათ საინტერესოა და დამახასიათებელი და წააგავს ზოგიერთი მამის და ყმაწვილი შვილის ამბავს. მამა ველარ ერკვევა შვილის აზრებში და მისწრაფებაში, რომელიც მოითხოვს „თავისუფლებას“ მამის აზროვნებიდან და მას წინააღმდეგობას უწევს, მამა კი შეშფოთებული მთელი თავისი ყურადღებით და დაკვირვებით შვილს ჩასციებია: რატომ? და ხედავს შვილის მოქმედებაში მხოლოდ „ულოღიკო“ დასაბუთებას და გამაბრაზებელ „თეატრალობას“.

ასე ემართება ახალ კულტურასაც, ქართული აზრი მოითხოვს ოცდაათი და ოცდათხუთმეტი წლის წინად გამეფებული აზრიდან განთავისუფლებას და ვინც თავისი შეხედულებით წარსულს მიეჯაჭვა ზემო მოხსენებული მამის მდგომარეობაში ვარდება.

თეთრი გიორგი ძლიერდება, ის შვილის მდგომარეობაშია. იმისკენაა მომავალი, ინსტიქტი და ცხოვრების ლოღიკა.

ისეთი მამები ანუ თანამგრძნობნი, რომელნიც ძველ სულისკვეთებას განწლილათ არ ხედავენ და ამავე დროს ჩვენთანაც მოვიდნენ, ჩიტების მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომელიც ჯოხის მოქნევას უცდის რომ გაფრინდეს. ასეთ მდგომარეობაში არიან ავტორები წერილისა და, როგორც თითონ აღნიშნავენ, ყოფილი თანამგრძნობნი თეთრი გიორგისა. ისინი სწერენ: „ჩვენ არ შევდიოდით თქვენი გამოცემის მიერ აღებულ გეზის ზოგიერთ მხარეების დეტალურ განხილვაშიო“. მათ უნდა უპასუხოდ, რომ რუსებისადმი აღებული ჩვენი გეზი, დეტალის საკითხი კი არ იყო, არამედ ჩვენთვის უპირველესი და უმთავრესი კითხვაა და ბ.ბ. გიორგაძის წერილიც ამ საკითხს ეხება.. მისი შინაარსია: უკუგდება ყოველგვარ რუსულ იმპერიალისტურ გამხრწნელ გავლენის. როგორც ეს გახლავთ თეთრი გიორგის ძველი აზრი. რათ გაიკვირვეთ და აგაღელვათ თქვენ ამ აზრმა, თუ „თანამგრძნობი“ იყავით და ოთხი წლის წინეთ ამ დებულებაში გვეთანხმებოდით? თუ თქვენ არ გესმოდათ სიახლე ამ დებულებისა, რადგან ნაზიარები იყავით ძველ სულისკვეთებით და მასთან კავშირი ვერ გაწყვიტეთ? თქვენ ამბობთ: „სამწუხაროთ თქვენი უკანასკნელი ნომერი გვარწმუნებს სავსებით, რომ თქვენს მოღვაწეობაში არამც თუ არ არსებობს პოლიტიკური ანგარიშიანობა და გონიერი მიზანშეწონილობა, რაც სავალდებულოა ყოველგვარ საქვეყნო საქმეშიო“. რა ანგარიშიანობაზე და პოლიტიკურ მიზანშეწონილებაზე ლაპარაკობს ასე ფრთხილად ეს წერილი?

ჩვენ ვამბობთ, რომ „ჩვენ სამშობლოს ნათელ იდეებისათვის,

დღის სინათლეზე ვიბრძვით“ და ამიტომ პოლიტიკა, კომბინატორობა არ გვგონია. ჩვენი ანგარიშიანობა და მიზანშეწონილება ჩვენ გულწრფელობაშია, ამიტომ ვამბობთ, რომ მტერს მოვეპყრობით მტრულად. შინაურ ცხოვრებაში კი ჩვენი ანგარიშიანობა ის არის, რომ ვქმნით რწმენას ახალი ქვეყნისათვის და ახალი კულტურისათვის. აი ჩვენი პოლიიკური ხაზი და მორალი და არა თქვენი რთულ კომბინაციათა პოლიტიკური „ანგარიშიანობა“, ამ ანგარიშიანობის მიმდევარი გაათავებს ცუდათ. მაგალითები ამისა, როგორც დღეს ისე ისტორიიდანაც მავალია.

ეს საპროტესტო წერილი სასაცილო დასკვნებადისაც მიდის და ამბობს, რომ გაზეთი „თ.გ.“ „ქართველი ერის სახელს არცხვენს და მხოლოდ მავნე და გამხრწნელი იქნება ქართული საზოგადოებისათვისა-ო“. ამაზე იტყვიან—ჩემი შენ გითხარიო. დიახ ბატონებო! როდესაც რუსეთმა დააპირა გახრწნა ქართული აზრისა, მან ყოველ ჯგუფში იპოვნა თავისი გამოძახილი. წარმოშვა ბოლშევიკები, რომელნიც იძახიან: უნდა მივილოთ რუსის [illegible] და კულ[illegible]ურა, რ[illegible]მელზედაც ლენინი ლაპარაკობდაო? წა[illegible]ვა ავადმ[illegible] [illegible]ციალისტი-დემოკრატი-ინტელიგენტი, [illegible]ელიც რუსულ ბაადებში ხედავს უდიდეს საკაცობრიო იდეალს. წარმოშვა ისეთი სპეკულიანტები, რომელნიც რუსეთში ხედავენ მხოლოდ თავისი ეგოისტური ინსტიქტის დაკმაყოფილებას. წარმოშვა ისეთი გადაგვარებული აზროვნება, რომელიც რუსეთით ფიქრობს თავის რესტოვრაციას, რომელსაც გვარი შერჩა ქართული და ისიც გადამახინჯებული.

დღეს პატრიოტული აზრი და თეთრი გიორგი, ყველა ამის წინააღმდეგ იბრძვის და თქვენ მას მავნე მოვლენას უწოდებთ? ამდაგვარი აზრით, სამწუხაროთ, თქვენ თავს თვითვე გამოუტანთ განაჩენს.

„უკმაყოფილოების წერილი“ ამბობს, რომ ჩვენთან მას არ სურს პოლემიკის გამართვა. თეთრი გიორგისათვის ერთია—ეკამათებიან მას თუ არა, ის თავის იდეას უამისოდაც დაიცავს. დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ ენა, რომელიც ქართულ კულტურას თავზე დაჰყეფს, სრულებით ადვილი წარმოსადგენია, პატრიოტს ძაღლის ხმათ მოეჩვენოს. ან უცხოეთიდან მოპარული მუსიკა, რომელმაც ეგრე რიგად შეავიწროვა ქართული მუსიკის კეთილხმოვანება და სიცოცხლეს უხუთავს მას, შხამათ ჩასთვალოს. აგრეთვე, ის ბოლშევიკური სული, რომელიც ერთგვარად ღვიოდა, როგორც ძველ ისე ახალ რუსეთში, ნათლად გამოიყურებიან რუსეთის ლიტერატურაში და მათ ფილოსოფიაში, რომელიც შედეგია უდისციპლინო აზროვნების და სარკე რუსულ ფსიქოლოგიის.

ირ. ო—რი.

მ.მ.ხ.ხ!

## „თეთრი გიორგი“ს რედაქციას.

გავეცანით რა „თეთრი გიორგის“ უკანასკნელ ნომერს (N°25 თებერვალი 1930), სადაც არის მოთავსებული «გადაგვარების გზაზე» ბ. გიორგაძისა, ჩვენ მივიჩნიეთ ზნეობრივ მოვალეობად მოგახსენოთ შემდეგი: ჩვენ არ შევდიოდით თქვენი გამოცემის მიერ აღებულ გეზის ზოგიერთს მხარეების დეტალებში, ხოლო ის მიგვაჩნდა ქართული პატრიოტული აზროვნების ერთ-ერთ გამოსახულებად და ამის გამო მას ერთგვარის თანაგრძნობით ვხვდებოდით. სამწუხაროდ თქვენი უკანასკნელი გაზეთი გვარწმუნებს სავსებით, რომ თქვენს მოღვაწეობაში არამც თუ არ არის დაცული პოლიტიკური ანგარიშიანობა და გონიერი მიზანშეწონილობა, რაც სავალდებულოა ყოველგვარ საქვეყნო საქმიანობაში, არამედ მით შელახულია ქართული ზნეობა და ღირსება, რაც არცხვენს ქართველი ერის სახელს და როგორც ასეთი მხოლოდ მავნე და გამხრწნელი იქნება ქართული საზოგადოებისათვის.

ამის გამო ჩვენ მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ ასე შევცდით თქვენი მოღვაწეობის დაფასებაში და მას ერთგვარ თანაგრძნობას უწევდით.

ამ გამოცემისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, რასაკვირველია იმ ორგანიზაციას, რომელიც მას სცემს. ჩვენ საჭიროდ არ ვცნობთ მასთან რაიმე პოლემიკის გამართვას ამ საგანზედ, ხოლო გთხოვთ ამიერიდან შესწყვიტოთ თქვენი გაზეთის ჩვენთვის გზავნა.



## ჩვენი პასუხი.

ზემოთ მოთავსებული თერთმეტი ქართველის პროტესტი და რუსულ გაზეთ „ვოზროჟდენიე“-ს გამოლაშქრება ჩვენს წინააღმდეგ, ერთსა და იმავე დროს მოხდა. რასაკვირველია ეს შემთხვევითი მოვლენა არაა, არამედ შეთანხმებული მოქმედება. მეპროტესტეთა რიცხვში მანდილოსნებიც ბრძანდებიან. ეხლავე ვაცხადებთ, რომ ეს პასუხი მათ არ ეხება. პროტესტს სრულიად უპასუხოდ დავსტოვებდით, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ამ ინციდენტს გადამახინჯებულად ჩაიტანენ. მეპროტესტეთ ამის საშუალება აქვთ, რათგან მათ რიცხვში ურევია, ყოველივე შემთხვევაში, ერთი პირი მაინც, რომელს საბჭოთა იმპერიაში ლეგალური მოგზაურობა შეუძლიან. ამიტომ, ჩვენ მოვალენი ვართ ქართველ ხალხს სინამდვილე ვამცნოთ. რაც შეეხება რუსულ გაზეთს, თეთრი გიორგისათვის დამამცირებელი იქნება ის პასუხის ღირსი ჰყოს.

მეპროტესტეთ ქვემოთ შევეხებით, ეხლა კი ვსვავთ შემდეგ საკითხს: გვაქვს თუ არა ზნეობრივი უფლება რუსებს უწოდოთ ის, რის ღირსნიც არიან? რას ნიშნავს მტრის ავად მოხსენიება? მისდამი სიძულვილის გამოთქმას. ხოლო, მტრისადმი სიძულვილის გრძნობა დამახასიათებელია კულტუროსან და ეროვნულად შეგნებულ ერისა. მხოლოდ ველურები უკოცნიან ხელებს ძლევამოსილ მტერს.

ევროპაში ერთ უკულტურეს ქვეყანათაგანი საფრანგეთია. აღზრდა, ქცევა, „ჯენტლემენობა“ ფრანგებს არავისაგან არ ესწავლებათ. ამიტომ მომყავს მაგალითად ეს რაინდი და ბრწყინვალე კულტურის ხალხი. მსოფლიო ომის დროს ფრანგის ხალხი გერმანიისადმი უდიდესი სიძულვილით აღივსო. ეს სიძულვილი იქამდის მივიდა, რომ მტერს მათ ნამდვილ სახელწოდებასაც კი არ აძლევდნენ და „ბოშებს“ უწოდებდნენ; დღესაც ხშირად შეხვდებით ამ სიტყვას ფრანგულ პრესაში. სიტყვა „ბოში“ კი უდიდესი ლანძღვაა. გაზეთები და მწერლები აშკარად სწერდნენ და ამბობდნენ გერმანელებზე: „ბოშები ჩავაძაღლეთო“. ვაგნერის და ბეტჰოვენის მუსიკასაც კი არ უკრავდნენ. როდესაც „სკალას“ გამოჩენილმა იტალიელმა ლოტბარმა პარიზში ვაგნერის დაკვრა გაბედა, დამსწრე საზოგადოებამ კინაღამ მოჰკლა ის და დარბაზიდან განდევნა; გერმანელთა ლიტერატურა, ხელოვნება სავსებით დევნილი იყო. ვისმეს რომ ქუჩაში გერმანულად დალაპარაკება გაებედნა იქვე ჩააქვავებდნენ. საფრანგეთის უდიდესი მწერალი რომენ როლანი უცხოეთში განდევნეს მხოლოდ იმიტომ, რომ ომის წინ საფრანგეთ-გერმანიის კავშირს ქადაგებდა; გერმანელებისადმი უბრალო სიმპატიის გამოთქმაც კი ისჯებოდა. საფრანგეთის მინისტრები მალვი და კაიო სასტიკად დასაჯეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გერმანელებისადმი სიმპატია დაჰბრალდათ. საფრანგეთის მთელი პრესა, განურჩევლად მიმართულებისა, გერმანელებს უშვერი სიტყვებით ლანძლავდა. გერმანიის იმპერატორს ღორათა ხატავდნენ, ჰინდერბურგს ღორს უწოდებდნენ და სხვა და სხვა. ავსტრიის იმპერატორს, ფრანც იოსებს, ჩაუძაღლებელი უწოდეს.

იგივე სურათი იყო სხვა მეომარ კულტუროსან ქვეყნებშიც. ეხლა ვკითხოთ ჩვენ რუსოფილებს: განა ამითი ფრანგული პრესა ხალხსა ხრწნიდა? განა საფრანგეთს აღზრდა და „ჯენტლემენობა“ ან საქმიანობის უნარი აკლდა და ყოველივე ეს ქართველ რუსოფილებისაგან ესწავლება? რასაკვირველია არა. ყოველივე ზემოაღნიშნული საქციელი საფრანგეთის მიერ ეროვნულ თავდაცვის ტაქტიკა და საშუალება იყო. რასაკვირველია, საფრანგეთი სავსებით სწორეთ იქცეოდა. საფრანგეთის ხელმძღვანელებმა კარგად იცოდნენ, რომ ბრძოლის ნაყოფიერ წარმოებისათვის, გამარჯვებისათვის, საჭირო და აუცილებელი იყო ფრანგის ხალხში გერმანელებისადმი უკიდურესი სიძულვილის გაღვივება, რათგან ის ხალხი, რომელიც მტრის წინაღმდეგ ზნეობრივად არაა შეიარაღებული და მისდამი სრული სიძულვილით გამსჭვალული —თავს ვერ დაიცავს. მაგრამ ეს ჩვენმა რუსოფილებმა არ უწყიან, რათა თვით მოკლებულნი არიან პატრიოტულ გრძნობას და შეგნებასაც.

მეფე ერეკლე კულტუროსან [illegible] «[illegible]» ეძახდა. დღესაც ხევსურები რუსებს [illegible] უწოდებენ. [illegible] მადლი მოისხან ჩვენმა „მეპრო[illegible]ებმა“ [illegible] და ყოფაქცევის გაკვეთილები მისცენ?!

თუ ფრანგები კულტუროსან გერმანელებს ასე იხსენიებდნენ რატომ არა გვაქვს ჩვენ უფლება ტურტლიან, ყოველგვარ კულტურა-ზნეობას და ადამიანობას მოკლებულ, კაცისმჭამელა რუსებზედ ვსთქვათ ის, რაც მათ ახასიათებს? განა შესადარია ის ზარალი რასაც გერმანელები აყენებდნენ ფრანგებს მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში მასთან, რაც მხეცი რუსეთი 128 წლის განმავლობაში გვაყენებს ჩვენ? საბოლოოთ საფრანგეთსა და გერმანიას მხოლოდ ომი ჰქონდათ ერთმანეთში. რუსეთი კი გვბატონობს, გვსრესავს, გვცარცვავს, ზნეობრივად და ფიზიკურად გვანგრევს ვერაგული საშუალებით. თუ ქართველი ერი რუსებისადმი უდიდესი სიძულვილით არ აღიჭურვა, ის თავს ვერ დაიცავს და სავსებით გარუსდება, რათგან ის დამონებული ერი, რომელიც თავისსა და მტრის შორის არა სდებს სიძულვილის მიჯნას უსათუოდ გადაგვარდება.

პოლონელებს ჩვენსგან არ ესწავლებათ არც პატრიოტიზმი არც პოლიტიკური შეგნება. ხოლო, ყველამ უწყის თუ რა სრული ზიზღით და სიძულვილით იყო აღჭურვილი რუსებისადმი ყოველი პოლონელი. პოლონეთის ეროვნულ თავდაცვის უდიდესი ფარი სწორეთ რუსებისადმი სიძულვილი იყო. მტრისადმი სიძულვილი ეროვნულ შეგნებიდან წარმოსდგება. რამდენათ ერი შეგნებულია და რამდენათ მე[illegible]ადაა მასში განვითარებული პატრიოტული გრძნობა, იმდენად მეტად სძულს მას გაბატონებული მტერი. ეს სოციალური კანონია. ნებისყოფას, ეროვნულ შეგნებას და ბრძოლის უნარს მოკლებულ ერს არ შეუძლიან მტრისადმი სიძულვილით აღჭურვა. პირიქით ის ეგუება და ემორჩილება მტერს, პასიურად განიცდის მის გავლენას, იყვარებს მის ენას, მის ლიტერატურას, ხელოვნებას და საბოლოოდ იღებს მტრის სახეს.

სავალალოა, რომ მრავალი ქართველი ჯერაც არ იცნობს, რა საშინელება ჩაიდინეს რუსებმა საქართველოში მთელი საუკუნის განმავლობაში. სავალალოა, რომ ამისი ახსნა და განმარტება გვესაჭიროება.

ის სიმხეცე, სინადირე და მზაკვრობა რაც რუსის მთავრობამ, მოხელეებმა, ოფიცრებმა, ჯარმა ე.ი. რუსის ხალხმა ჩაიდინა საქართველოში მთელი ოკეანეა და მის აღწერას ათას გვერდიანი ტომები დასჭირდება. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოგვყავს.

1804 წელს 27 მარტს სოფელ ყამურას მცხოვრებმა საჩივრით მიმართეს მთავრობას. აი მოკლეთ ეს საჩივარი: «სოფელ ყამურას ამოვიდა კაპიტან ისპრავნიკი, გაგვბაწრა და ძალით გვაჭამაო ძაღლებისათვის მომზადებული საჭმელი, ძაღლების გობშიო. მაგრამ ჯერ კაპიტან-ისპრავნიკმა ამ საჭმელში ჩაასხა ადამიანის შრატი, ჩასდო ადამიანის განავალი, ჩაყარა ნაჭერ-ნაჭერად დაჭრილი კატები და ისე გვაჭამაო. ამის შემდეგ რვა სახლი გადაგვიწვა და მათთან ერთად 300 კოდი ქერიო. კიდევ ბევრ ამისთანა რამეს იხსენიებენ თავის საჩივარში ყამურას მცხოვრებნი.» (აქტები: ტ. 11 გვ. 305.)

აი რა საჩივრით მიმართეს მთიულთა ამორჩეულმა კაცებმა 1804 წელს მთავარმართებელს: „1) კაცისაგან თითქმის მოუთმენელ სიცივეში სტეფან-წმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვატეხინეს და გზა გავწმინდეთ. 2) ჩვენგან გაკეთებულ ამავე გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს; ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაგათხეველი ჯაუნარის ძე. 3) მოვიდა თოვლი და აღმოივსო ჩვენგან გაკეთებული გზა; ასეთს დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს; წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთემ ხმლის ცემით მიგვყარა, წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭყლიტა.

4) მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენიანი ყაზახი. ამათ უნდებოდა დღეში სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი. ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5) ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ქირა; ერთჯელ მოგვცეს თითო მანეთი,—ესეც მოვითმინეთ. 6) ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუმბეს და სალდათები უკან დედა-კაცებს მათრახითა სცემდნენ.

7) გვიბრძანეს და ოთხი საკირე დავწვით, ერთი წაქათკარს, ეორე ბურდღულისკარს, მესამე ნადირაძისკარს და მეოთხე ამირიძის კარზე.

8) თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს ერთობ ჯარში უნდა წახვიდეთო, და იქიდან გავიგონეთ, ჩვენ წინ უნდა წავეყვანეთ, ჩვენთან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენს უკან სალდათი და შეწყვდეულნი ცემით რუსეთს უნდა გადავვერეკეთ. დედა-კაცნი და რომელნი წვრილნი შინ დარჩებიან, ხიდების საკეთებლად კირი უნდა ვაზიდვინოთო‘— ესეები იმათგან გავიგონეთ

9) დაგვიდეს ფიცი შვიდის წლის სითარხნე, (გადასახადიდან განთავისუფლება) არც ერთი წელი დაგვაცალეს: წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვისაც დებულებისა მაგიერად სულ თეთრი (ფული) გამოგვართვეს ორი წლისა, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსად ვიშოვნეთ და ჩვენის ეკლესიები-

დან გამოგვატანინეს თეთრი და წაიღეს. გამოგვართვეს ცხვარზე ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი' ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთ ლიტრი ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი. 10) ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეეთაც არა ჰკითხეს."

„11) ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთის ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ, ქერსა და თივას უფასოთ გვართმევდნენ და ცხენსაც უქირაოდ და შიკრიკი ჩვენის ცხენით დაჰყავდათ.

„ჩვენ ამ ზემოხსენებულის მწუხარებისაგან, რომელნიც ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთსა ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქვეთ. ჩვენ ძალას არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არ მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი წაუკიდოთ, ცოლშვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ, და დავიწვნეთ. ამ ტანჯვის და მათრახით სიკვდილს და ჩვენი ცოლებისას უწესოს საქმის დანახვას ეს გვირჩევნიან, რომ ასე დავიხოცნეთ, მარტო მთიულეთში ცემით ოცდასამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა. (იხ. აქტები: ტ. II, გვ. 311.)

აი, ალ. ფრონელის სიტყვით სადამდის მიახწია მთიულთა გაჭირვებამ: „საცოდავ მთიულთ ისე გაუჭირდათ, რომ იძულებული გახდნენ ეკლესიები და სალოცავები გაეძარცვათ, ხატები გაეტეხნათ, ვერცხლი აეძროთ და ეს მამა-პაპეული განძი გაეღოთ უზომო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად." ( ალ. ფრონელი: მთიულეთი. გვ. 107.)

მხოლოდ ახალციხის ექსპედიციაში 1811 წელს ბეგარაზედ გაყვანილ ქართველ გლეხკაცობას ხუთი ათასი სული საქონელი გაუწყდა. ამას მოგვითხრობს იქ დამსწრე ფრანგი Rottier იხილეთ ამის შესახებ აქტები ტ. 5 გვ. 965. ფოთის ექსპედიციაში 40 000 სული საქონელი გაწყდა ქართველ გლეხკაცობისა.

იმერეთის ხალხი აღშფოთებული რუსების საქციელით დელეგაციას დელეგაციაზე უგზავნის მთავრობას და სწერს: „დიდი ხანი ვიყავით ურწმუნოების ხელში, დიდი ტანჯვა და ვაება გამოვიარეთ მათგან, მაგრამ ისინი ჩვენ ეკლესიებს არ ეხებოდნენ, ჩვენ ქრისტიანები ვართ, დავიცავით სარწმუნოება... ჩვენს წუხილს საზღვარი არა აქვს, როცა ვხედავთ, თუ როგორ ხურავენ ჩვენ წმიდა საყდრებს, უადგილოთ სტოვებენ ჩვენ სამღვდელოებას, ან როცა ჩვენ გვართმევენ ჩვენ მამა-პაპეულ მამულებს.

აი თვით იმერეთის მეფის სოლომონის წერილი ღენ. გუდოვიჩთან მიწერილი: „თქვენი ბრწყინვალების პატივცემული წერილი მივიღე, რომელშიც მაცნობებთ ვითომც ჩემი ქუთაისის სასახლე გამითავისუფლეთ; გაკვირვებული ვარ, ვინაიდან რა გაანთავისუფლეთ, როდესაც ჩემი სასახლე აღარ არსებობს? ხშირად გაგიცხადეთ წერილობით, რომ ჩემი ქუთაისის სამეფო სასახლე თქვენი ჯარების მიერ საძირკვლამდის დანგრეულია. ჩემ სასახლეში თქვენ ჯარს საყვარლები ჰყავდა და ეს საყვარლები თავადიშვილების მოსამსახურენი იყვნენ, რომელთაც თქვენი ჯარი გაიტაცებს ხოლმე. რამდენი ხანია გწერთ, რომ თქვენმა ჯარმა მე, მეფეს საძირკვლამდის დამინგრია სასახლე, წამართვა ქალაქი. და მე სამართალი ვერა ვპოვე: ჩემს სიძეს და უპირველეს თავადს დავით წულუკიძეს სალდათებმა თავი გაუტეხეს, გალახეს და მიწაზე თმებით ათრიეს.." (აქტები: ტ. 3, გვ. 169.)

ქუთაისში სოლომონ მეფის სასახლე ჯერ საროსკიპოთ გადააკეთეს და მერე დაანგრიეს. ასევე უყვეს ტფილისში დავით ბატონიშვილის სასახლეს.

ბატონიშვილმა დავითმა მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან საბუთებს მოუყარა თავი შესახებ რუსების დამკვიდრებისა კავკასიაში. უადგილობის გამო აქ მხოლოდ ორიოდე ნაწყვეტის მოყვანა შეგვიძლიან დავითის ძვირფას ნაწერებიდან. აი ერთი მათგანი სადაც დავითი აგვიწერს კახეთის უბედურობას მართმორწმუნეების ხელში:

„წელსა ამასვე 1811, ქ-კს უთ, გამოსცვალეს ტორმასოვი და წარგზავნეს მარკიჩი პაულიჩი, იტალიელი, ღიანარალი-ლეიტენანტი, აგვისტოში; კაცი ელამი რაგვარადაცა თვალთა, ეგრეთვე სულითაცა და მოქმედებითა. მაშინ იყო შემჭირვებაი დიდი ქართველთა ზედან მარკიჩისაგან, ესრეთ: ართმევდიან ხშირად ურემთა და ხართა სახმარად მხედრობისა, რომელ კნინლა (ე.ი. მეტად ცოტა) დაჰშთათ ხარი სოფელთა შინა. ეგრეთვე სადაც გავლიდიან რუსნი, ამჭირვდებიან სოფლებთა ცემითა, ტაცებითა და რთმევითა, თვინიერ თეთრისა და იყო ესრეთცა სიმყილი (სიმშილი) რომელ კოდი პური იყო ექვს მინანთულადა თეთრს ფულად. მაშინ მარკიზმან უბრძანა წარსულისა ორი წლისა პურისა მოკრეფაი სურსათისა კახთაგან, ვინაიდან სიმცროისა გამო მოსავლისა ვერ ძალედვათ მიცემაი, და ბრძანა ყოველსავე სოფელსა ეგზეკუციისა ჩაყენებაი,—ორასის და სამასისა თითო სოფელთა, და სადაც მივიდოდიან, იყო ვაებაი მათ, რამეთუ სცემდიან დედა-კაცთაცა, და ხელითა ჰკიდებიან და ართმევდიან პურთა ძალითა. თუმცალა კახნი ევედრებოდიან, რომელ მიიღონ ნაცვლად პურისა ექვსი მინანთული კოდში და რომელთაც არა აქვნდათ თეთრი, მაშინ ძე და ასულთა თვისთა აძლევდიან, გარნა უქმ იყვს ვედრებაი მათი, და იყო ვალალებაი ერთა შორის. გარნა სხვათაცა ბოროტ-მოქმედებათა შორის ესეცა ჰქმნეს, რომელ თიანეთს მთვრალთა ოფიცერთა შეიპყრეს დედა კაცი და საშოსა შინა შთაასხეს ძაბრითა ღვინო. (იხ. დავით ბატონიშვილის მასალები, გვ. 99-100.

საჭიროთ მიგვაჩნია აქ, რუსის ავაზაკობის შესახებ ცნობილ პოეტის ალ. ჭავჭავაძის აზრიც მოვიყვანოთ. ალ. ჭავჭავაძე თანამედროვეა იმ ხანისა, რომელსაც ასწერს, ე.ი. რუსების საქართველოში გაბატონების პირველ წლებს.

„ზოგიერთა პოლკები იმისთანა სასტიკ თვითნებობას და თავხედობას იჩენდნენ, რომ სრულიად გაანადგურეს და მოაოხრეს სოფლები, სადაც ბინას სდებდნენ. განა მარტო ის სოფლები, ახლო-მახლო სოფლებიც თავს ვერ იცავდნენ გაონავრებულ პოლკებისაგან. საკუთრება აღარა შერჩათ რა გაოხრებულ და გატიალებულ სოფლებს. მკვიდრთა ღვინოს, ბოსტან - ბაღებს, ფრინველებს, საქონელს ცხენსა და ურმებს, ისე ხმარობდნენ, როგორც მოისურვებდნენ. ყაზარმების გასათბობათ ვენახების ღობეებს არღვევდნენ და სწვავდნენ. აშკარად, დაუსჯელად იქცეოდნენ. დამშლელი და დამტუქსავი არავინ იყო. რომ ეჩივლად უარესი დღე დაადგებოდათ: სცემდნენ, დასჯიდნენ და დაემუქრებოდნენ: ეგ თუ ცოტაა, მაშ აბა იცოდეთ, შემდეგ უკეთეს დღეს დაგაყრითო".

აი რა მოხსენება მიართვეს მთავრობას სოფ. ბოდბისხევის მცხოვრებლებმა: „...ცამეტი წლის განმავლობაში, რაც ხელმწიფემ ღირსი გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ. ამგვარი ულთოობა და უბედურობა არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმანთა ბატონობის დროსაც კი. ვითმენდით, ვიტანდით თავზე მოვლენილ ჭირსა, რადგან ერთგულობის ფიცი მივეცით ხელმწიფესა, მაგრამ როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლიჯეს, ვეღარ მოვითმინეთ და ავიშალენით. რუსებმა მოსტაცეს ცოლი ბინობაშვილს, ორი კვირა ჰყავდათ ბოდბისხევში და შემდეგ დაითხოვეს. ბალაშვილს და ხოპაშვილსაც წაართვეს ცოლები, თითო კვირა ჰყავდათ თავისას და შემდეგ დაითხოვეს. ცოლთა გაუპატიურება და ნამუსის ახდა საკუთარის თვალით იხილეს ამ უბედურებმა. კანონი ხელმწიფისა ისეთია, რომ თუ მამაკაცი რასმეს დააშავებს, სასჯელიც დამნაშავეს უნდა გადახდეს. ამის მაგიერ წაავლებენ ხელს დედა-კაცებს, ჩახდიან ნიფხვებს და ჯოხებით უკან ტანს უჭრელებენ.

„ამ სიშორისას გაგვრეკეს ურმებით ფოთში სურსათის საზიდავათ. სულ თხუთმეტი ურემი იყო ჩვენი და ერთი ხარი აღარ დაგვბრუნებია ცოცხალი ნახევარი მეურმეც გაწყდა ლაშქრობაში, ვინც დაბრუნდა, ისიც ვეღარ გამოდგა, რადგან სასტიკი ზამთრის გამო ხელ-ფეხი და ტანი დაძრული ჰქონდათ. საითაც კი დაიძვროდა ხელმწიფის მხედრობა, ჩვენც უკან მივსდევდით ურმებით, დაგვქონდა სურსათი ერევანს, გუმრს, განჯას და სხვაგან. გავდიოდით სადარაჯოთ და საომრად, ასე რომ თუ სალდათები ანთხევდნენ სისხლსა, ჩვენც მათთან ვიჟლიტებოდით. პური იყო ჩვენზე გაწერილი, კოდში ექვს აბაზს იძლეოდნენ· მარტო გადატანაში ვაძლევდით თითო მანეთსა, ასე რომ კოდზე აბაზი გვრჩებოდა, მაგრამ რადგან სიმშილობის გამო ჩვენი სამყოფიც არა გვქონდა, პურს სხვაგან ვყიდულობდით ოთხ მანეთად კოდსა."

„ერთხელ, სურსათს რომ აგროვებდნენ, მარტო 350 ქათამი მოგვტაცეს; პურს, ღვინოს და ქერს ვინღა დასთვლის? ღენერალ პორტნიანგინმა სოფელში ჯარი ჩაგვიყენა. ვიდრე თხუთმეტი ურემი ხორბალი არ გაუგზავნეთ, ჯარი არ მოგვაშორა. პურის, ღვინისა და საქონლის გარდა 4 ურემი ქერი დახარჯეს თვით სოფელში. ძარცვა-გლეჯისა და ცემა-ტყეპის გარდა სული გაგვიმწარეს ქრთამების აღებით. ერთხელ კაპიტან-ისპრავნიკმა იასაულის პირით შემოგვითვალა, ჩემთან ამოდითო. შეგვეშინდა და არ წაველით, რადგან ისპრავნიკი ბრალიანსა და უბრალოს არ არჩევდა, ყველას ფულს ახდევინებდა, ზოგს 20 მანათს, ზოგს 30 მანათს. შიშისაგან ერთი ვაჭირელი კაცი სამუდამოდ სადღაც გადავარდა. ბოდბელ გოგია ოთარაშვილს ცილი დასწამეს, გაქცეული შენი ნათესავიაო, დაატუსაღეს და 180 მანეთი წაართვეს. ლაზარა ხუნაშვილი დაატუსაღეს და ვიდრე 70 მან. არ მისცა, არ გამოუშვეს. გოგია ხუნაშვილის დაჭერა უნდოდათ, გამოუდგნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს— გაჯავრებულებმა გოგიას ოჯახს 60 მან. გადაახდევინეს. სულ უბრალოთ გათოკეს აბრამა ძმანაშვილი და მაშინ გაანთავისუფლეს, როცა 70 მან. ქრთამი მისცა. ასევე მოექცნენ გოგიაშვილს, ნოდარაშვილსა და დათია ბალაშვილს, რომელთაც რვა რვა თუმნათ დაიხსნეს თავი ნაობახტიდანა. გოგია ბალაშვილს კი 70 მან. დასჯერდნენ. ბევრის ურმების გასაყვანათ სალდათები მოდიოდნენ. ვაი ჩვენი ბრალი, თუ ერთი-ორი საათი დაგვაგვიანდებოდა და დროზე არ შევაბამდით ხარებსა. გამორეკდნენ ხოლმე დედა-კაცებსა და ურმებში აბავდნენ. ვასმევდით, ვაჭმევდით, თუ ქრთამს ვაძლევდით, სულ ერთი იყო, მაინც განუწყვეტლივ გვამათრახებდნენ.

„სამართალი ხომ არ არსებობდა ჩვენთვისა. ისპრავნიკი ნამდვილი ძილის გუდა იყო. მომჩივანს კარებს არ გაუღებდნენ ვიდრე ქრთამს არ დაანახვებდა. ბავშვებს პურსა ჰგლეჯდნენ ხელიდან, დედა-კაცებს კისერზე ქვებსა ჰკიდებდნენ. ისპრავნიკმა უდანაშაულო რევაზს და იოსებს 140 მან. წაართვა, მამუკასა და რევაზს ცხრა-ცხრა თუმანი. ხორბლის საწყაო მოიტანა ისპრავნიკმა და გამოგვიცხადა, ფუთიანიაო. ამ საწყაოთი იბარებდა ხორბალს ჯარისათვის. როცა გამოვზომეთ ისპრავნიკის საწყაო, აღმოჩნდა, რომ შვიდ ლიტრას იწონიდა."

უბედური სოფლელები ასე ათავებენ თავის საჩივარს: (უკეთ რომ ვსთქვათ საჩივარი არ იყო, არამედ ჩვენება მიცემული გამომძიებელ კომისიაში) „რა სარფა ჰქონდა ხელმწიფეს ჩვენი ასეთის დარბევისაგანაო." (აქტები: ტ. 5, გვ. 61—62)

თუ მხოლოდ ერთ პატარა სოფელს მიაყენეს ამდენი ზარალი, რა უნდა იყოს ჯამი იმ ზარალისა, რომელიც მიადგა მთელ საქართველოს. რუსეთის დამყარებამ კავკასიაში ჩვენი ქვეყანა ისე დასცა ეკონომიურად, რომ ყოვლად შეუძლებელია, დღეს დაახლოვებითაც კი აღინუსხოს ის. რაც შეეხება ზნეობრივ ზარალს, გახრწნას, გათახსირებას, ოჯახის და ნამუსის შერყვნას და შელახვას ამის განსაზღვრა ხომ გაურბის ყოველივე შეფასებას. მაგრამ მოუსმინოთ ეხლა სოფელ პრასიანელების ჩვენებას, რომელიც მათ გადასცეს წერილობრივ სიღნაღის მოურავს 7 მარტს 1812 წელს:

«ისე დაგვარბიეს და შეგვაწუხეს მოხელეებმა, რომ გამწარებული სიკვდილს ვეძებდით, მაგრამ ჩვენი მფარველი და პატრონი არსადა სჩანდა, გაუნელებელ ცეცხლის ალში გაგვხვიეს. კიწოდით და ვიდაგებოდით, მაგრამ მანუგეშებელი ვერავინ ვნახეთ. ჯარისათვის ხორბალი უნდა გაგვეღო, როცა არა გვქონდა რას მივცემდით, მაინც ვყიდულობდით, ლიტრაში 40 კაპ. ვაძლევდით, პროვიანტის მოხელენი კი 10 ან 7 ნახევარ კაპ. ანგარიშობდნენ. ურმის ქირას 6 მან. ანგარიშობდნენ, (თვეში), როდესაც ჩვენ თვითონ 30 მან. გვიჯდება ურემი. ულმერთოდ სტვირთავდნენ ურემსა, კარგ ამინდში კიდევ ჰო, ურემი დაიძვროდა, მაგრამ თოვლსა და ჭყაპში. უზომოდ დადებულ ურემს საძრავი არა ჰქონდა. გაბრაზებული სალდათები ჩვენ თვითონ მეურმეებს გვაბამდნენ და ცემა-ტყეპით მიგვერეკებოდნენ. ეს კიდევ რა, უბედურება ის იყო, რომ ორი სამი სოფლისაგან ქრთამს აიღებდნენ და ბეგარისაგან ანთავისუფლებდნენ და ამ გვარად იმათ წილ ბეგარასაც ერთ სოფელს აზდევინებდნენ ხოლმე, ორი დღით რომ წაგვიყვანდნენ ბეგარაზე, სამ თვეს გვტოვებდნენ. ნებას არ გვაძლევდნენ საქონელი ურმებიდან გამოგვეშვა საბალახოდ, ან ჩვენ წავსულიყავით სადმე საჭმლის საშოვნელად - ვიხოცებოდით სიმშილით და რაც ვითხოვდით პური გვეჭამეთ, ან გაგვეშვით სოფლად სახლის საშოვნელად, ერთ მიწაზე მიგვითითებდნე ხოლმე, —სჭამეთო. გაშეშებულივით ვიდექით ზეზე როგორც მეურმენი, აგრეთვე საქონელი. დიდმალი ხარ-კამეჩი იხოცებოდა ბეგარაზე. საქონლის მაგიერ ჩვენ გვაბამდნენ და მათრახის ცემით მიგვერეკებოდნენ.

«ყველაზე მეტად სულს გვიმწარებდა ღენერალი პორტნიაგინი, კაპიტან-ისპრავნიკი და ყარაღაჯის უფროსი. ყველაფერი მიჰქონდათ, რაც რამ გვებადა, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ. ზამთრობით ჯარს ჩაგვიყენებდნენ ხოლმე სახლებში და ძალას გვატანდნენ გამოგვეკვება სალდათები გაზაფხულამდის. ღვთის რისხვა იყო სწორეთ ჯარის ჩაყენება ოჯახებში. ვასმევდით სალდათებს მაინც გვცემდნენ, ვაჭმევდით მაინც მათრახს ვერ ავცდებოდით. ლოგინებიდან წამოგვლალავდნენ ხოლმე და თვითონ წვებოდნენ შიგა. ვინ მოსთვლის რამდენი ცოლი და შვილი გაგვიუპატიურეს და ნამუსი აჰხადეს!

«სამართლის კარი ხომ დაიხშო და დაიკეტა ჩვენთვის. გაგონებითაც არა გვქონია გაგონილი, რომ ჩვენში დავიდარაბა ატეხილიყოს წყლისა და მამულის გამო. განძრახ წაჰკიდებდნენ სოფლებს, ჩამოაგდებდნენ შურსა, შუღლსა და შემდეგ 400-600 მანათ ქრთამს რომ ახწაპნიდნენ, ბრალიანსა და დამნაშავეს ამართლებდნენ. უმიზეზოდ უდანაშაულო კაცს გადამკიდებოდნენ და იძულებულ ჰყოფდნენ იწროებას შინა ჩავარდნილი ადამიანი გადახვეწილიყო სადმე. მაშინ გადახვეწილის მეზობლობას ღალატს შეჰწამებდნენ და მოგვისევდნენ ჯარსა დასარბევად, იჭერდნენ და ატუსაღებდნენ უდანაშაულო კაცსა და ანთავისუფლებდნენ ნაობახტიდან, თუ 400 მან. სასყიდელს მივართმევდით. სწორედ ამნაირათ გვექცეოდნენ ლეკები.

«საჩივლელად მისულს თუ მუშტი შეკუმშული არა ჰქონოდა ნიშნად იმისა, რომ ხელში ქრთამი უჭირავს, სასამართლოში არ უშვებდნენ და ბევრსაც მიაყოლებდნენ ხოლმე. ხუთი მანათის საღირალი საქმე რომ გვქონოდა, ხუთი თუმანი უნდა დაგვეხარჯა.» (აქტები: ტ. 5, გვ. 62-63.)

აი კიდევ ერთი, სოფელ მირზაანის გლეხების მოხსენება:

«...ცოლებსა გვტაცებდნენ, ქმრებს ხელებს უკრავდნენ და ჩვენ თვალწინ ცოლებთან მრუშობდნენ. დედა-კაცი წივის და კივის, კაცო, მიშველე; ქმარი კი ლუღლუღებს: რა გიშველო შეკრულ-შებოჭვილმა. სოფლად ვიღაც კაპიტანი მაყაროვი ჩაგვიყენეს ჯარით შვიდის კვირით. მტერი არ დააწიოკებს ისე სოფელსა; როგორც მაყაროვმა აგვიკლო და დაგვანელა. კაცი აღარ დარჩენილა მირზაანში, შიშით მამა-კაცობა აქეთ იქით მიიმალა. სადაც კი მოგვასწრობდნენ. ცემით ტყავს გვაძრობდნენ. გვქონდა რამე თუ არა, სულ ერთი იყო მაყაროვისათვის, უნდა გვეგაგლახნა, გვეყიდნა და ისე მიგვერთმია.

ამგვარი საბუთები ათასობითაა. 1812 წელს შედგენილ რუსის მთავრობის ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით, საქართველოდან რუსის მხედრობას წელიწადში უსასყიდლოთ გაჰყავდა 992 854 ურემი და 99 780 ცხენი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბეგარაზედ გაყვანილ კაცსა და საქონელს ხშირად 3 და 6 თვესაც არ ანთავისუფლებდნენ. ამნაირად დაახლოვებით შეიძლება იმ ნივთიერ ზარალის წარმოდგენა, რომელიც რუსობამ საქართველოს მიაყენა.

1819-1820 წელს მთელი იმერეთი, გურია, სამეგრელო. რაჭა ლეჩხუმი აიკლეს მხეცმა რუსებმა. საუკეთესო სასახლეები, ციხეები და კოშკები საძირკვლიანად დაანგრიეს. სწორედ მაშინ გაანადგურეს საუცხოო სასახლე და ციხე ემოქმედისა; ასობით სოფლები დასწვეს, ვენახები და ბაღები ფესვებიანათ ამოიღეს; გლეხკაცობა გაჟლიტეს, ჩამოახრჩეს, გადაასახლეს.

1804 მთელი მთა: მთიულეთი, ფშავეთი, გუდამაყარი დასწვეს და გაანიავეს. 1812—1813 მთელი კახეთი გადასწვეს ორჯელ ისე, რომ არც ერთ სოფელში ქვა ქვაზედაც არ დაუტოვებიათ. ტფილისიდან მოყოლებული სიღნაღამდე და თელავამდე სახრჩობელები იყო ამართული. მაშინდელი ჩეკა, რომელს „საგანგებო სასამართლო" ეწოდებოდა ნახევარ საათში არჩევდა საქმეს და ქართველებს ძაღლებივით ახრჩობდა. კახეთის ერთ სოფელში მოსკოვის მხეცებმა ირაკლი მეფის დეიდაშვილი 90 წლის მოხუცი, მოლოზანი მარიამი, ხიშტებზედ ააგეს და მისი გვამი ძაღლებს მიუგდეს. არც მოხუცს, არც ქალს, არც ბავშვს დანდობა არა ჰქონდა. უსუსურ ბავშვებს აუპატიურებდნენ. მთავარ სარდლიდან მოყოლებული ვიდრე უკანასკნელ ჯარისკაცამდის საჯაროთ ამბობდნენ: ქართველები ძაღლებია და ძაღლებივით უნდა ამოვხოცოთო.

1820 წელს ხალხის მიერ საყვარელი და პატივცემული არქიმანდრიტი გრიგოლი, მიტროპოლიტი ძოსიმე ქუთათელი, მიტროპოლიტი ექვთიმე და სხვა საპატიო პირნი დაატუსაღეს, ტომრებში ჩასხეს, ტომრებს ზემოდან თავები მოუკრეს და ასე წაიყვანეს რუსეთს, საიდანაც გააციმბირეს. (აქტები: ტ, 6, გვ. 797 საბუთი №41·)

ტფილისის სემინარიის რექტორმა ქართულ ენას ძაღლების ენა უწოდა და ეგზარხოსმა პავლემ ეკლესიაში დასწყევლა საქართველო.

1912 წელს, როდესაც საქართველო თამარ მეფის საიუბილიოთ ემზადებოდა, ტფილისში რუსულმა გაზეთმა დასცინა ქართველობას და თამარ მეფეს გარყვნილი დედა-კაცი უწოდა. ამავე დროს ბატონი პალმი, „ბათუმსკი ვესტნიკში" სწერდა: „ქართლელები კინტოები არიან, კახელები მეღორეები, იმერლები ლაქიები და მედუქნეები და მეგრელები ქურდებიო. რა მშვენიერი ერია-ო!!" სად ბრძანდებოდით ამ დროს, რომ რუსებისათვის პროტესტი გამოგეცხადებინათ? აი სიმართლე სად ბრძანდებოდით მაშინ: ზოგი თქვენგანი სამშობლოს მტერს ემსახურებოდა, ზოგს რუსების გავლენა გაჰქონდა სპარსეთში კომერციული მოსაზრებით და ბატონნი საერთო ფრონტელები, რომელთაც „ვოზროჟდენიე"-სთან ერთად გამოილაშქრეს ჩვენზედ, რუსულ პარტიების წევრები და რუსის იმპერიის მომხრეები იყვნენ. დღეს ყველა თქვენ ნაძალადევი პატრიოტები ბრძანდებით. თქვენ საქციელს ისტორია დააფასებს. მომავალი გვიჩვენებს რომ რუსების ლოლიაობა ფუჭეთ ჩაგივლით. რუსეთი, რომელსაც ეტრფით, რომლისადმი სიყვარული თქვენს გულში აღმოუფხვრელია დაინგრევა და განიავდება და მის ნანგრე-

ვებს მიჰყვება ყოველივე ის დამანგრეველი გავლენა, რომელიც რუსების ბატონობამ დასტოვა ჩვენში.

ზედმეტია აღწერა მისი თუ რა საშინელება დაატეხა თავზედ ქართველ ხალხს 1905-6-7 წლებში რუსის ჯარმა და პოლიციამ. ან მისი, თუ როგორ ანადგურებს ჩვენს ქვეყანას დღეს იგივე რუსეთი.

***

ბატონო «მეპროტესტენო» თქვენ ბრძანებთ, ვითომ ჩვენდამი სიმპატია გქონოდეთ. ეს რომ მართალი იყოს თქვენ ლანძღვის წერილს კი არ მოგვწერდით, არამედ მეგობრულ რჩევას მოგვცემდით. რაც არ უნდა დაუსაბუთებელი ყოფილიყოს თქვენი დარიგება, ჩვენ მას მადლობით მოვისმენდით. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თქვენ გაგაწიწმატათ მხოლოდ რუსების ავად მოხსენიებამ და სხვა არაფერმა.

თქვენ თავს აკადრეთ და გვწერთ ქართველ ხალხში გახრწნა შეგაქვთო, ქართულ ზნეობას ლახავთო და სხვა. უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ჩვენ საქართველოში შეგვაქვს უმაღლესი ზნეობა, რათა ყოველ ჩვენ შემოქმედებას ვამყარებთ ოჯახზედ, სარწმუნოებაზედ და დისციპლინაზედ; ვზრდით ჩვენს ახალგაზრდობას ქართულ ტრადიციების და რაინდობის მიხედვით, ეს ყველას მოეხსენება; ვქადაგებთ პატრიოტიზმს, ხელს უწყობთ ეროვნულ შეგნების გაღრმავებას და ამაღლებას. ყოველივე ამას ეწოდება ზნეობა. ამიტომ თეთრი გიორგი ქართველი ხალხის უდიდესი ზნეობრივი ფაქტორია. გახრწნილობის შეტანა ქართველ ხალხში და ქართულ ზნეობის შელახვა ეს რუსოფილობა, რუსების პატივისცემა და სამშობლოს მტრის დაცვა გახლავთ. გახრწნილობის შეტანა დღეს, იცით, კიდევ რა არის? რომ ქართველი კაცი ბოლშევიკებთან კომერციულ კომბინაციებში იყოს შესული გამდიდრების მიზნით და ჯიბეში ბოლშევიკური პასპორტი ედოს; ქართველი ემიგრანტი შეურიგდეს სამშობლოს მტერს მხოლოდ გამდიდრების მიზნით. აი ეს გახლავთ ქართველი ერის გამხრწნელი მაგალითი. ეხლა, ბატონებო, მოსძებნეთ თქვენს „კომპანიაში“ და ამნაირ პირს აღმოაჩენთ. დიახ, და ამის შემდეგ ილაპარაკეთ ზნეობაზე. და მერე ისიც ვის უბედავთ ამას? თეთრი გიორგის! იმ თეთრ გიორგის, რომლის გულწრფელ, უანგარო შრომას მხოლოდ სულმდაბალი ქართველი არ აღიარებს; იმ თეთრი გიორგის, რომლის რიგებში ქართველი ახალგაზრდობა შეუდარებელი პატრიოტიზმითაა გამსჭვალული; რომლის ახალგაზრდობა ზნეობის და რაინდობის ნამდვილი ნამუში და მაგალითია. დაფიქრდით კი, როდესაც რუსულად სწერდით და ცუდ ქართულზედ სთარგმნიდით თქვენს საწყალ, უბედურ წერილს?

თქვენ მხოლოდ რუსების დასაცავად გამობრძანდით, თორემ თუ მხოლოდ ჩვენმა წერილის ტონმა შეგაწუხად, რატომ რუსულ გაზეთების ტონი არ გაწუხებთ, როდესაც ისინი საქართველოს ლანძღავენ? პარიზის ერთ-ერთმა რუსულმა გაზეთმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ძაღლათ მოიხსენია, „ტუზო“ უთხრა. ყველა რუსულმა გაზეთებმა საქართველოს „სიმინდის რესპუბლიკა“ უწოდეს. „ვოზროჟდენიე“, რომელთან ერთად ჩვენზედ იერიში მოიტანეთ, ქართველებს მხდალებს, ბრძოლის ველიდან გამოქცეულებს უწოდებს, უშვერი სიტყვითა ლანძღავს; ჩვენს დამოუკიდებლობას ყველა რუსული გაზეთები დასცინიან. და მერე გამოუცხადა ერთ-ერთმა თქვენგანმა პროტესტი რომელიმე რუსულ გაზეთს? არა. პირიქით, ყოველ თქვენგანს ჯიბეში რუსული გაზეთი უდევს.

რუსებისადმი სიძულვილის გამოსაწვევათ ისიც კი საკმარისია კაცმა პროტესტის წერილზედ თქვენ ხელ-მონაწერს დახედოს. თერთმეტში მხოლოდ სამმა იცის ქართულად ხელისმოწერა. დანარჩენები ზოგი თავის გვარს და თვით სახელსაც კი შეცდომით აწერს და ზოგის ხელის მონაწერი 5 წლის ბალღის ნაწერსა ჰგავს. ეს რუსეთმა დაგვმართა ჩვენ! განა ეროვნული უბედურობა არაა, რომ თერთმეტ ქართველში რვამ საკუთარი ხელის მოწერა არ იცოდეს თავის სამშობლო ენაზედ? თქვენ, ბატონებო, საქართველოს საქმეებზედ, მის ავ კარგზედ და მაზედ თუ ვის შეუძლიან იქ გახრწნილობის ან ზნეობის შეტანა მაშინ იდავეთ, როდესაც ქართულ ენას ისწავლით. სამი წელიწადი საქართველო დამოუკიდებელი იყო, ცხრა წელიწადია ქართველი ხალხი სისხლიდან იცლება თავისუფლების მოსაპოვებლად და თქვენ იმდენი ვერ შეიგენით, რომ ქართული ენა მაინც შეგესწავლათ! და ჩვენ კი პატრიოტიზმის გაკვეთილებს გვაძლევთ! თქვენი სიმპატიები არ გვესაჭიროება. რაც შეეხება თქვენს პრეტენზიას, ვითომ ჩვენი საქციელი საქმიანობის თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ იყოს, სასაცილოა. რომელ საქმიანობას გულისხმობთ? თუ ვაჭრულს, მართალი ბრძანდებით. გამოუცდელნი ვართ და არცა ვკიდებთ ხელს ვაჭრობას, მით უმეტეს ბოლშევიკებთან ერთად. თუ გულისხმოთ პოლიტიკურ საქმიანობას, ნურას უკაცრავათ და არც ერთს თქვენგანს უფლება არა აქვს ამ დარგში ვისმეს რაიმე რჩევა მისცეს. ეს იმიტომ, რომ არც ერთს თქვენგანს ნახევარ საათსაც კი არ გაუწევია პოლიტიკური საქმიანობა.

და თუ საქმიანობა არაა ის, რომ თეთრი გიორგიმ საუკეთესო ახალგაზრდობა ერთ სულოვნათ დარაზმა პატრიოტიზმის გარშემო; შეჰქმნა მტკიცე დისციპლინა; დაიმუშავა ნამდვილი, ჭეშმარიტი ეროვნული იდეოლოგია; ევროპა და საქართველო მოზდო თავისი ორგანიზაციებით; თუ ამას საქმიანობას არ უწოდებთ, თქვენ პოლიტ. საქმიანობაზედ არავითარი წარმოდგენა არა გქონიათ.

თქვენ ხელს იღებთ გაზეთ თეთრი გიორგის კითხვაზედ იმიტომ, რომ მან რუსები სამართლიანათ დაჰგმო. მაგრამ რა ვსთქვით ჩვენ ისეთი რუსების შესახებ, რაც რუსებისავე მწერლებს არ ეღიარებინათ. ჩვენ შეგვიძლიან მრავალი მაგალითი მოგიყვანოთ მისი, თუ როგორ იხსენიებენ რუსის ხალხს, მის ზნეობას და ცივილიზაციას რუსივე მწერლები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ქვემოთ მოყვანილ ნიმუშებს გაკმარებთ.

გორკი ამბობს: მთელი რუსეთი შემოვიარე, ვეძებე და ერთი ღირსეული ადამიანი ვერა ვპოვეო. რუსის ხალხი მაღალ ცივილიზაციას ვერასდროს ვერ მიახწევს, კუჭის იქით მისი იდეალი არ წავაო. მერეჟკოვსკი რუსებს ლოთებს, კაცის მკვლელებს და ხამებს უწოდებს. ამისთანა ხალხს შეუძლებელია რაიმე კულტურა ჰქონდეს. ჩვენ შემდეგ ნომრებში დავასაბუთებთ ,რომ რუსის ხალხი მართლაც სავსებით მოკლებულია ყოველგვარ ცივილიზაციას და თუ რაიმე აქვს შეთვისებული რუსის ხალხის ზემო ფენებს ეს მხოლოდ მიბაძვით და გადაღებით.

რუსის მწერალი პოტეხინი თავის „ბედნიე დვორიანე-ბში“ აგვიწერს შემდეგ ამბავს: „ერთ რუსმა მოიწვია მეგობრები ათი თორმეტი კაცი, დაითრო. მერე გავიდა მეორე ოთახში და სტუმრების წინაშე თავისი დედა, 70 წლის მოხუცი, ჯერ გააუპატიურა და მერე ცულით მოჰკლა. როდესაც მეორე დღეს გამომძიებელმა ჰკითხა დამსწრეთ, რატომ ხელი არ შეუშალეთ თქვენს მეგობარს ამ ბოროტების ჩადენაშიო, მათ ერთხმათ უპასუხეს: „ჩვენი რა საქმე იყო, თავის საკუთარ დედას რასაც უნდა მას უზამდაო“. აი, რუსის ფსიქოლოგია და სულისკვეთება. აკი ამიტომაც ამ ხალხმა წარმოშვა ბოლშევიზმი. ფრანგის დიდი მწერალი მიშლე დიდი ხანია რაც მიხვდა, რომ რუსის ხალხის ზნეობიდან და სულისკვეთებიდან საბოლოოდ რაღაც სისაზიზღრე წარმოიშვებოდა და იწინასწარმეტყველა: „მოვა დრო, როდესაც ეს გიჟი და ლოთი მდევი ქვეყანასააყროლებსო“.

„ჩვენ რუსებიო, ამბობს რუსის ფილოსოფოსი ჩაადაევი, კაცობრიობის უკანონო შვილები ვართო. კაცობრიობას ვერაფერი შევმატეთ, ჩვენი გამოკლებით მსოფლიო არაფერს დაკარგავდაო“ და სხვა.

რუსის დიდი პატრიოტი, ღენერალი კრასნოვი, სწერს: მსოფლიო ომის დროს რუსის ერთმა ასეულმა, ერთ სოფელში, ახალგაზრდა გოგო დაიჭირა და გააუპატიურა. ჯერ მთელ ასეულს არ შეესრულებინა ეს მხეცობა, როდესაც გოგოს სული ამოხდაო. რომელიღაც ჯარის კაცმა სთქვა: „თავი ანებეთ უკვე მოკვდაო. მაგრამ დანარჩენებმა ხელი დაადეს და სთქვეს: არა უშავს რა ჯერ არ გაციებულა ცხედარი, კიდევ გამოდგებაო და განაგრძეს თავისი ბნელი, რუსული სადიზმი.

აი რა აზრს გამოსთქვამს, რუსებზედ, ცნობილი რუსის მწერალი, არციბაშევი:

„ჩვენი ხალხი ბნელია და ნადირი. რუსის ლიტერატურამ იგი იდეალურად დახატა და მისცა მას სახელი „ღვთის მატარებლი“სა და „ღვთის მძებნელისა“. მაგრამ თუ მეორე სახელი ნამდვილია, იმდენათ, რამდენათ ყველა ველური ადამიანის დამახასიათებელია რომელიმე ღმერთის ძებნა, სამაგიეროთ პირველი არაფრით არ მართლდება, არც წარსულში და არც აწმყოში რუსის ხალხისა.

მთელი რუსული ისტორია არის ისტორია უაზრო და დაუნდობელ აჯანყებათა (ბუნტი), სასტიკ დაპყრობათა, სისხლის მსმელ მეფეთა, მონასტერთა სიმხეცეთა. რუსის ხალხი სრულიად ურწმუნოა. თუ რუსის ქალი (ბაბა), როგორც ამას ამბობს დიდი რუსის მხატვარი, სტირის საყდარში ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წირვისა არაფერი არ გაეგება. სანამ გვიან არ არის, სანამ არ გაუმარჯვნიათ იმ პოლიტიკურ მცნებათ და პარტიათ, რომელნიც დანაშაულ სისუმბუქით, იმედს ამყარებენ რაღაც ხალხურ სიმართლეზე. ჩვენ უნდა ვაღვიაროთ რომ არაფერი თვალსაჩინო ჩვენ ხალხში არ არის, რომ ის როგორც ველური, ასი წლობის სრული უმეცრებით მოცული, მხოლოდ ველურთა ორდაა, რომელთა იდეალი ყოველთვის იყო და იქნება ანარქიული თავისუფლება, თავისუფლება ძარცვისა და ძალადობისა... ჰო, ჩვენ ველურები ვარ... ჩხუბი, ძარცვა, ძალმომრეობა, კაცის მკვლელობა ესენი არიან ჩვენი მუდმივი ცხოვრების მოვლენანი. «მწვანე გველი» და „წითელი მამალი“ ჩვენი შინაური პირუტყვებია. ჩვენ ველურები ვართ და კვალი მონღოლთა ჩვენ პირისახეზე და სულზე ჯერ არ წაშლილა: ჩვენ ამობურცული ლოყის ძვლები გვაქვს, წვრილი თვალები, ჩვენი ვნებანი უცბათია და თავშეუკავებელი.

ჩვენ არაფერში არ ვიცით თავის დაკავება და ზომა . იდეა იქცევა ფანატიზმათ და დოგმათ; პოლიტიკური ბრძოლა გამოიხატება სისხლიან ტერორში და სასტიკ დიქტატურაში; ჩვენი იდეალი თავისუფლებისა—ანარქიაა; ჩვენი სიმღერა ან მხეცური ღრიალია ან ველური ციგნური გარყვნილება; ჩვენი ხალხური გმირები— ან სტენკა რაზინია ან პუგაჩოვები, ან უსხეულო ბებერნი სერაფიმები; ჩვენი გამოგონებანი კნუტია; ჩვენი სიმხიარულე გადარეული ლოთობაა; ჩვენი სიყვარული ან თავშეწირვაა ან წამება! ვნებათა ღელვაში ჩვენ ვანგრევთ ყოველივეს, ყოველივეს ტალახში ვახრჩობთ— სინიდისსაც, ოჯახსაც და ჩვენ საკუთარ „მე“საც. ჩვენი ქალიშვილნი უმანკონი არ არიან, ჩვენი ცოლნი ერთგულნი არ არიან.

„ჩვენ ყველანი თავდაუჭერელნი ვართ, გარყვნილნი, მოთამაშენი, მფლანგველნი, მოქეიფენი და ლოთები, და თვით კულტუროსანი მაღალი საზოგადოება გარყვნილებაში არ ჩამორჩება ხალხის ბნელ და უმდაბლეს ნაძირალებს. მდიდარ „იარი“-დან უკანასკნელ „კრასნი შინკამდე“, მთელი რუსეთი სამიკიტნოებით (კაბაკებით) სავსეა. თუ ჩვენი სოფლის რეკრუტები, მიდიან რა პატრიოტულ საქმეზე, გზაზე სამიკიტნოებს ანგრევენ, არც ჩვენი სიამაყე, ჩვენი იმედი—მოსწავლე ახალგაზრდობა ჩამორჩება მას, როდესაც დღესასწაულებში **gaudiamus**-ის სიმღერით საბოზებს ანგრევს!“

ლაპარაკობს რა რუსის ქალებზე და მამაკაცებზე არციბაშევი ამბობს: „რუსის ქალები მონები და (აქ არციბაშევი ხმარობს სიტყვას, რომელიც არ დაიწერება ) არიან! კულტუროსანი ადამიანი სიძულვილით უქცევდა პირს ამისთანა ქალს, მაგრამ რუსი მამაკაცი სხვანაირად მსჯელობს: რა არის მისთვის ქალის სული? მას უნდა მხოლოდ სხეული, ეს სხეული კი ასე შემაცდენარია! განა ველურისათვის მისაწვდენია ზნეობრივი ზიზღი? ჩვენში ძალიან ხშირად ჯვარს იწერენ როსკიპებზე და ფეხებ ქვეშ უდებენ თავის სიცოცხლეს რომელიმე მომღერალ ციგნის ქალს, და ხალხში ხომ სულ ჩვეულებრივია გასათხოვარი ქალის შერთვა, რომელსაც შვილი ჰყავს და ყოველთვის ურიგდებიან ოჯახში უკანონო ბავშვის მოვლენას. ისინი უბრალოთ უყურებენ: გაიზრდება მშრომელი იქნებაო„.

წაბრძანდით, ბატონო მეპროტესტენო, და ამ რუსის მწერლებს პროტესტი გამოუცხადეთ. მათზედ უხეში და უდიერი წერა აღარ შეიძლება. მაგრამ მათ სრული სიმართლე სთქვეს რუსის ხალხზედ და ამიტომ არავის, არავითარი უფლება არა აქვს რაიმე პროტესტი გამოუცხადოს. ჩვენ რა დავწერეთ იმისთანა, რომ სხვას არ დაეწეროს? აკაკი წერეთელმა ჩვენ დიდ პოეტს ორბელიანს დათვი უწოდა; ქუთაისის ბანკის საარჩევნო კრებული პირუტყვების როლში გამოიყვანა—განა აკაკის თქვენებრ ეთიკა ესწავლებოდა? მაგრამ თქვენ კუჭი იმან დაგწვათ, რომ რუსებს შევეხეთ. ჩვენ უკვე ერთხელ დავსწერეთ ქართველ ბოლშევიკებზედ: ძაღლებივით ჩამოსახრჩობი არიანო. მაგრამ ეს თქვენს ყურებს არ ეჩოთირა. ხოლო შევეხეთ თუ არა რუსებს, გველებივით ასისინდით. მაგრამ თეთრი გიორგის ვერაფერი შეარყევს. ჩვენ სხვა ქარიშხლებს და კორიანტელებს დავძლევთ და გადავლახავთ. ჩვენი ბრძოლის და შემოქმედების სარბიელზედ და თქვენი ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრება ჭიქაში აღელვებულ წყლათაც კი არ გვეჩვენება. თუ გნებავთ ჩვენი ნამდვილი გრძნობა თქვენდამი—მხოლოდ სიბრალულია. ის სიბრალული, რომელიც ყოველმა პატრიოტმა უნდა იქონიოს იმ ძმისადმი, რომელიც მტრის გადაგვარებულ პოლიტიკის უნებლიე მსხვერპლად გამხდარა. თქვენ არ გესმით რასა იქმთ.

საპროტესტო წერილის ავტორების გარდა ჩვენზედ სხვებმაც გამოილაშქრეს. პარიზის კოლონიის 30 მარტის კრებაზედ, რუსების დასაცავად და თეთრი გიორგის წინააღმდეგ შეკავშირდნენ და გამოილაშქრა ყველამ, ვინც კი რუსის იმპერატორის კარზედ ნამსახური ღენერალ-პოლკოვნიკი იყო, ლევანტინელმა სპეკულიანტებმა, რამდენიმე გარუსებულმა «კნეინამ», სოციალ დემოკრატებმა და ეროვნულ დემოკრატებმა– ამ «კომპანიის» საერთო სახელით ილაპარაკა ბატონმა ურატაძემ. ეს ის ურატაძეა, რომელმაც 1920 წ. ბოლშევიკებთან დასდო, ცნობილი, სამარცხვინო ხელშეკრულება და რომელმაც არც კი იცოდა სად იყო საქართველოს საზღვრები. ამას ჩვენ სხვათა შორის აღვნიშნავთ, და არა იმიტომ, რომ უკ'ქინოთ. თორემ საქართველოს საზღვრები ან გეოგრაფია ურატაძეს წარმგზავნელმა მთავრობამაც კი არ იცოდა და აბა მას საიდან ეცოდინებოდა?

ჩვენ ის წინააღმდეგ ამ კომიკურ და პამპულურ გამოლაშქრებას და საერთო ფრონტის ორგანოს (ე.ი. «ბრძოლის ხმის» განყოფილებას ) შემდეგ გავცემთ პასუხს და დაუმტკიცებთ მათ უვიცობას და რუსოფილობას. აქ კი ზემოაღნიშნულ «კომპანიას» ორიოდე სიტყვით და გაკვრით შემდეგს მოვახსენებთ: კოლონიის თავმჯდომარეს არაფერი არ მოეთხოვება. რა ჰქმნას ამ ყოვლად საწყალმა კაცმა? როგორ გაერკვეს საქართველოს ავ-კარგში და პოლიტიკაში, როდესაც საკუთარი დედა ენაც კი არ იცის და რუქა რომ უჩვენოთ, ვერც კი იპოვნის სადაა საქართველო. 30 მარტის კრებაზედაც, როგორც ყოველთვის, კულისებში მოქმედ ინტრიგანების ბრმა იარაღი იყო და სხვა არაფერი. ეს ინტრიგანები იკრიბებიან, საიდუმლოთ, თავმჯდომარის ამორჩევის წინ და ადგენენ: კოლონიის თავმჯდომარეთ ისეთი კაცი ამოვირჩიოთ არც ავი შეეძლოს და არც კარგიო. იფიქრებენ, იფიქრებენ და ბოლოს ერთხმათ დაასკვნიან: «ამ თვალსაზრისით ხსირტლაძე ზედ გამოჭრილიაო». და ამოირჩევენ ხოლმე მას. ხოლო უბედურობა იმაშია, რომ რაიმე კარგის გაკეთება ძნელია და ავისა კი ადვილი. ჰო და ჩვენი პოლიტ. პარტიებიც, როდესაც კი შესაძლებელია, ავს ამ საწყალი კაცის ხელით აკეთებენ. 30 მარტსაც საზიზღარ როლში გამოიყვანეს. რა ქნას? უბრძანეს და მანაც შეასრულა. საკვებით არც კი ესმოდა რას აკეთებდადიან, მას არა მოეკითხება რა, ერთი საწყალი კაცია.

სულ სხვაა ჩვენი პოლიტ. პარტიები. მათ წინასწარ უწყიან, რომ გოროტებას სჩადიან და განზრახ სჩადიან მას. ჩვენი პოლიტიკური პარტიები წარმოშობილნი და აღზრდილნი არიან სწორეთ იმ რუსულ ლიტერატურის, ხელოვნების და პოლიტიკურ აზროვნების ნიადაგზედ, რომლის დამცველად საერთო ფრონტის ორგანო ესე ცინიკურად გამოდის. ამიტომაცაა რომ მათი პოლიტიკური აზროვნება მოწამლულია; არაფერი საერთო საქართველოს სინამდვილესთან არა აქვთ და მხოლოდ სწამლავენ ჩვენს ეროვნულ ორგანიზმს. რუსულმა კულტურამ წარმოშვა ბოლშევიზმიც და ჩვენი პოლიტ. პარტიებიც. პარტიების ხელმძღვანელებმა არ იციან არც ქართული ისტორია და არც ქართული კულტურა. მათი ცოდნა მარქსის, ლენინის და პლეხანოვის წიგნაკებზედ შორს ვერ მიდის. რაც შეეხება კერძოთ ეროვნულ დემოკრატებს, მათ ესეც არ იციან.

ქართული პოლიტ. პარტიები, ქართველი რუსის მონარქისტები და ხულიგანური ორგანო «ვოზროჟდენიე» შეთანხმებული და ხელი-ხელ ჩაკიდული გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ. ეს მოვლენა ლოღიკურია და გასაგები იმიტომ, რომ ყველა მათგანი გონებრივი და სულიერი შვილია მისი რასაც ეწოდება რუსეთის კულტურა და ცივილიზაცია. ამიტომაც რუსების ლანძღვას საკუთარ შეურაცხყოფათ იღებენ.

მომავალი თავისუფალი საქართველო 20-30 წლის განმავლობაში განიცდის რა ეროვნულ აღზრდის და ეროვნულ დისციპლინის სკოლას, განსპეტაკდება, განიწმინდება ყოველივე მრუდე გავლენიდან, ჩადგება ნამდვილ ეროვნულ კალაპოტში და მის ცხოვრებაში წაიშლება კვალი ზემოთ მოყვანილ ჯგუფთა და მათ მსგავსთა. გავა დრო და მომავალი მატიანე აღნიშნავს, რომ მე 16 მე 17 საუკუნეებში იყვნენ ქართველნი, რომელნიც მიდიოდნენ ისპაჰანს, ეზიარებოდნენ ისლამით, ინით იღებავდნენ წვერს და ფრჩხილებს და ამ თავის გადაგვარებულ სახით ლამობდნენ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზედ გავლენა ექონიათ. მაგრამ საქართველოს ისტორიამ გადაჰქელა ეს ისპაჰანელი ქართველნი... იგივე მომავალი მატიანე აღნიშნავს, რომ აგრეთვე მე 19 და მე 20 საუკუნეებში იყვნენ ქართველნი, რომელნიც მიემგზავრებოდნენ მოსკოვს, ინათლებოდნენ რუსულ გავლენით, ბოლშევიკ ტოლსტოის და ლენინის აზროვნებით, რუსულ სულით. ერთნი მათგანნი შედიოდნენ რუსის იმპერატორის სამსახურში, მეორენი რუსულ პოლიტ. პარტ ებში და ამ თავის გადაგვარებულ, გადარუსებულ სახით სურდათ საქართველოს ცხოვრება რუსულ ყაიდაზედ მოეწყოთ. ეს კაცნი იყვნენ შეგნებული თუ შეუგნებელი აგენტები რუსეთის საქართველოზედ გამხრწნელ და გადამაგვარებელ გავლენისა. საქართველოს ისტორიამ ისპაჰანელ ქართველებისამებრ, მოსკოველი ქართველებიც გადაჰქელა და თავისი სალი ეროვნული გზით წავიდა. წარიხოცა მათი გამხრწნელი კვალი და მათზედ დარჩა მხოლოდ ლა ხსოვნა, როგორც ეროვნულ დეგენერაციის ცოცხალ მაგალითებზედ. იმ ეროვნულ დეგენერაციის, რომელს ყოველი ერი, თავის ისტორიის მსვლელობაში რამდენჯერმე განიცდის ხოლმე.

**თეთრი გიორგის რედაქცია.**

*Le Gérant* : FÉLIX KHALDENBACH

Imp. METTHEZ FRÈRES, MONTBÉLIARD-HÉRIMONCOURT